პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 115 (11726)
ოთხშაბათი,
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი პარიზში. სურათზე: პარიზელი ბოგოლიუბი ლაპორტი მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვს ჟოჭარში.

ფოტო საკავშირო სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. სობოლევისა. (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას

—ამბობენ საქართველოს მშრომელები

★ ★ ★ ★

ელვის სისწრაფით მოედო მთელს ჩვენს რესპუბლიკას საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის განცხადება პარიზში.

ხალხმრავალ მიტინგებზე, კრებებზე, საუბრებში, რომლებიც გუშინ მოეწყო თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში მშრომელები მტკიცედ იმეორებდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს:

შეხვედრა დაატარებელს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულმა წრეებმა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თავზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების პროვოკაციული ფრენის შედეგად.

დაე ეს სირცხვილი და პასუხისმგებლობა ამისათვის დაეკისროს იმათ, ვინც გამოაცხადა ყაჩაღური პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

აგრესორები თავს ვერ იმართლებენ.

საბჭოთა ადამიანებს ცბიერება არ შეუძლიათ და არცა სურთ...

მშრომელთა მიტინგები, კრებები, საუბრები გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის მხარდამჭერის მძლავრ დემონსტრაციად.

ყველა საბჭოთა ადამიანმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, — აღნიშნეს მშრომელებმა, — იციან თუ რა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას ამუამად სერავს კოსმოსური ხომალდი, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, ბედნიერებისა და მშვიდობისათვის საბჭოთა მეცნიერები აღწევენ ახალ-ახალ წარმატებებს. საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს დიადი შვიდწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის. მაგრამ თუ აგრესორებმა დაარღვიეს ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ან ტოციალისტური ბანაკის რომელიმე ქვეყნის სიმშვიდე. ისინი საკადრის პასუხს მიიღებენ.

მშვიდობის მტრების პროვოკაციის საპასუხოდ ჩვენი მშრომელები უფრო მჭიდროდ იერაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ავლაგმოთ ყველა აგრესორი

ამ დღეებში რაღაცამ სასიხარულო ცნობა მოგვიტანა — გამეებულ იქნა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი, ეს საბჭოთა მეცნიერების, მუშების, მთელი ჩვენი ხალხის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვებაა.

საბჭოთა ხალხმა მშვიდობის ეს თანამგზავრი გაუშვა იმ პერიოდში, როდესაც მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები აღშფოთებული არიან ამერიკელ აგრესორთა აკანაკური მოქმედებით, რომლებმაც საბჭოთა მიწა-წყლის დასახვერავად შემოგზავნეს თავიანთი თვითმფრინავი.

ჭიათურელი მაღაროელები პროტესტს აცხადებენ ამ ავანტიურ მოქმედების გამო. ჩვენ ერთხმად ვუმეერთ მხარს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამახანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა მთავრობათა მეთაურების წინასწარ შეხვედრაზე. ამახანაგმა ხრუშჩოვმა ნათლად ამხილა აგრესორთა ზრახვები და პირდაპირ გააფრთხილა ისინი, რომ ყველა, ვინც გაიმეორებს ამგვარ თავდასხმას, სასტიკად დაისჯება.

დროა შეიგნონ აგრესორებმა, რომ ძალის პოზიციებიდან ლაპარაკი ჩვენ ქვეყანასთან არ შეიძლება. ჩვენ გვსურს მშვიდობიანად ვიცხოვროთ ყველა ხალხთან, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება დაგეიერღვიოს მშვიდობიანი ცხოვრება, იგი საკადრის პასუხს მიიღებს.

შ. აბრამიშვილი,
ქალინინის სახელობის მაღაროს მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ჟურნალისტებთან

პარიზი, 17 მაისი. (**საკადესის სპეც. კორ.**). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვს ახმოკლე საუბარი ჰქონდა ჟურნალისტებთან, რომლებიც თითქმის მთელ დღე-ღამეს მორიგეობენ მისი რეზიდენციის ჭიშკართან საბჭოთა საელჩოს შენობაში.

ამ იმპროვიზებულ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც პირდაპირ დე გრენელის ვიწრო ქუჩის ქვაფენილზე მიმდინარეობდა, ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა კორესპონდენტთა მთელ რიგ კითხვებზე.

მან ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ სსრ კავშირის მონაწილეობა უმაღლესი დონის თათბირში შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებენ, რომ მათ ჩაიდინეს აგრესია, როცა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში გაგზავნეს სამხედრო სადაზვერვო თვითმფრინავი ჯაშუშური დავალების შესასრულებლად, საჯაროდ მოიხდიან ბოდიშს, დაგმობენ თავიანთ მოქმედებას, დასჯიან დამნაშავეებს და განაცხადებენ, რომ ეს აღარ მოხდება. უამისოდ, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჩვენ შინ მივდივართ.

— შესაძლოა ჩვენ ხვალ გავფრინდეთ, — დასძინა მან, უპასუხა რა მეორე კითხვაზე. — გზად შევჩერდებით ბერლინში, სადაც მინდა ვინახულო ჩემი მეგობრები ვალტერ ულბრიხტი, ოტო გროტეოლი და სხვები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა უთხრა კორესპონდენტებს, რომ იგი ისე არ წავა, რომ არ გამოეთხოვოს მათ პრეს-კონფერენციაზე.

— უნდა გითხრათ, ბატონებო, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რომ აუცილებლად შეგხვდებით.

უპასუხა რა კითხვაზე, ხომ არ აპირებს გაისეირნოს პარიზში, ამხანაგმა ხრუშჩოვმა თქვა, რომ იგი მარშალ მალინოვსკისთან ერთად შესაძლოა მოაწყობს პატარა გასეირნებას, მაგრამ სად. დასძინა მან ხუმრობით, ეს საიდუმლოებაა.

ჟურნალისტებთან ამ საუბრის ცოტა ხნის შემდეგ მათ განუცხადეს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი და რ. ი. მალინოვსკი აპირებენ ესტუმრონ სოფელ პლერს, სეზანის ახლოს, სადაც 1919 წლის მარტიდან აგვისტომდე იმყოფებოდა მალინოვსკი — რუსეთის საექსპედიციო კორპუსის პირველი ბრიგადის მე-2 პოლკის მაშინდელი რიგითი ჯარისკაცი, კორპუსისა, რომელიც ფრანგებთან ერთად იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე გერმანიის არმიის წინააღმდეგ.

რისხვა მათ!

სოხუმი. (**საკ. კორ.**). აფხაზეთის მშრომელებმა რადიოთი დიდი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამახანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება. ამის გამო გუშინ სოხუმთან დაწყებამდე საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშათა შორის გაცხოველებული საუბრები და ახრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

სოხუმის თეგზის კომბინატის მოწინავე მუშამ შ. შინგილაიამ განაცხადა:

— ჩვენში უსაზღვრო აღშფოთებას იწვევს ამერიკის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის თვითმფრინავის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პროვოკაციული შემოჭრის შესახებ. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მშვიდობა გვსურს, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დარღვევას, საკადრის პასუხსაც მიიღებს.

ამერიკელ აგრესორთა ავანტიურ ნოტებზე

ხალხები მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების იმედით მოელოდნენ ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირს პარიზში. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის გამო უმაღლეს დონეზე თათბირს ჩაფუშვა ემუქრება. ეს აღელვებს კეთილი ნების ყოველ ადამიანს. მშრომელები ერთსულოვნად გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების თავხედობას.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა გუშინ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს უმაღლეს დონეზე თათბირის წინასწარ შეხვედრაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება, რომელშიც მხილებული არიან აგრესორები.

— საბჭოთა ხალხი, — თქვა ამწყობი საამქროს ზეინკალმა პ. მუხიგულაშვილმა, — უდიდესი გულისწყრომით შეხვდა ამერიკის სამხედრო სადაზვერვო თვითმფრინავის შემოჭრას ჩვენი სამშობლოს საჰაერო სივრცეში. როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ჯაშუშური ცნობების შეგროვება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების შესახებ, ომისათვის მზადება. მაგრამ ახსოვდეთ აგრესორებს, რომ ჩვენ ახლა ძლიერი ვართ, იმდენად ძლიერი, რომ შეგვიძლია კისერი მოვუგრიხოთ ყველას, ვინც თავის ბინძურ დინგს შემოჰყოფს ჩვენს მამულში.

— საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობის განმტკიცებისათვის, — განაცხადა ელექტროტექნიკური საამქროს უფროსმა ა. ლუდუშაურმა, — ჩვენი მოწოდება მშვიდობიანი მშენებლობაა. ჩვენ კოსმოსში გავუშვეთ გიგანტური თანამგზავრი ხომალდი, ვისწრაფვით შევისწავლოთ კოსმოსი ადამიანთა საკეთილდღეოდ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც გაუშვეს თანამგზავრები. ახლა პაუერსის ავანტიურის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თანამგზავრებს უფრო ჯაშუშური მიზნებით უშვებენ, ვიდრე სამშვიდობო მეცნიერული მიზნებით. ომი ახლანდელ პირობებში დიდ უბედურებას მოუტანს დედამიწის ყველა ხალხს. ეს არ უნდა დაუშვათ. ამ კეთილშობილური მიზნით ხელმძღვანელობს საბჭოთა მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში.

მიტინგის მონაწილეებმა ზიზღით დაგმეს ამერიკის მმართველი წრეების აგრესიული მოქმედება.

ჩვენი მოწოდებაა მშვიდობიანი მშენებლობა

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა სოფელ ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ადამიამ, მეჩიიემ გელი ქვარცხავამ და სხვებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგ ხრუშჩოვის განცხადება და პირობა დადეს გაორკეცონ მუშაობა, იბრძოლონ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის და თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ჩვენ კოლმეურნეები მთლიანად ვიწონებთ ამხანაგ ხრუშჩოვის განცხადებას და მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი აიღონ თავიანთ პროვოკაციულ პოლიტიკაზე. ჩვენი ხალხები საზღვრის დამრღვევებს საკადრის პასუხს გასცემენ.

სიტყვა წარმოთქვა მეჩაიე ეთერ კვირაიამ, რომელმაც მოიწონა ჩვენი მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა და მზადყოფნა ომის გამჩაღებელთა პროვოკაციულ დარტყმას გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხოთ.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა სოფელ ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ადამიამ, მეჩიიემ გელი ქვარცხავამ და სხვებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგ ხრუშჩოვის განცხადება და პირობა დადეს გაორკეცონ მუშაობა, იბრძოლონ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის და თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი კორესპონდენტთა კითხვაზე

დღეს, 17 მაისს, გაზეთების კორესპონდენტებმა ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართეს კითხვით: „რას იტყვით თეთრი სახლის პრესის საკითხთა წარმომადგენლის ჰეგერტის განცხადების გამო, რომელიც მან გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სახელით, იმის შესახებ, რომ ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა, რომელიც დღეს დანიშნულია ელისეს სასახლეში, იქნება უმაღლესი დონის თათბირის დასაწყისი“.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შემდეგი პასუხი გასცა ამ კითხვაზე:

— მზად ვარ მონაწილეობა მივიღო თათბირში საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლთან, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მაკმილანთან და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან აზრთა გასაზიარებლად საკითხზე, შეიქმნა თუ არა უმაღლესი დონის თათბირის დაწყების პირობები.

თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნამდვილად გადაწყვიტეს დაგმონ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ვერაგული შეჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში, საჯაროდ გამოთქვან სინანული ამ შეჭრის გამო, დასაჯონ დამნაშავენი და პირობა მოგვცენ, რომ მომავალში ასეთი შეჭრა არ განმეორდება, ჩვენ ასეთი პირობის მიღების შემდეგ მზად ვიქნებით მონაწილეობა მივიღოთ უმაღლესი დონის თათბირში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული პრეს-ჯგუფი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

საფრანგეთში აკრედიტებულ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები

16 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საფრანგეთში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები: ალბანეთისა — ლამარი, ბულგარეთისა — კამენოვი, უნგრეთისა — ვინცე, პოლონეთისა — გაევსკი, რუმინეთისა — ბალანესკუ, ჩეხოსლოვაკიისა — ბლესკოტი და საუბარი ჰქონდა მათთან იმ საკითხებზე, რომლებიც უმაღლესი დონის თათბირს შეეხება.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი რ. ი. მალინოვსკი და სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი.

საუბარი გულითად და ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

მაკმილანი ეწვია ხრუშჩოვს

16 მაისს საღამოს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰ. მაკმილანი სტუმარი ვიზიტად იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჰ. მაკმილანს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. საუბარს დასწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, თავდაცვის მინისტრი რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ა. ა. სოლდატოვი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეორე განყოფილების გამგე ნ. დ. ბელოხვოსტიკოვი. ინგლისის მხრივ — დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში პ. რაილი, პრემიერ-მინისტრის თანაშემწენი ზალუეტა და ბიშოპი.

დასავლეთ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

პარიზი, 16 მაისი. (საკადესი). 16 საათზე პარიზის დროით საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიხსნა დასავლეთის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა. სხდომაში მონაწილეობენ მ. კუვ დე მიურვილი, კ. ჰერტერი და ს. ლოიდი.

დასავლეთის სამი სახელმწიფოს თათბირი პარიზში

პარიზი, 17 მაისი. (საკადესი). დღეს დღის პირველ ნახევარში ელისეს სასახლეში გაიმართა დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელთა თათბირი. ამ თათბირის დამთავრების შემდეგ არ გამოქვეყნებულა არავითარი კომუნიკე.

პრეზიდენტ დე გოლის განცხადება

პარიზი, 17 მაისი, (საკადესი). ფრანსს პრესის სააგენტომ გადასცა შინაარსი საფრანგეთის პრეზიდენტის გამოსვლისა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების გუშინდელ წინასწარ შეხვედრაზე პარიზში. შეეხო რა სსრ კავშირის ტერიტორიაზე ამერიკის თვითმფრინავის ჯაშუშური ფრენის საკითხს, გენერალმა დე გოლმა აღიარა, რომ საერთაშორისო დაძაბულობა „ახლა უფრო მეტად არსებობს, ვიდრე ოდესმე წინათ, ზემოაღნიშნული ინციდენტის გამო“. მაგრამ დე გოლმა არსებითად ურჩია საბჭოთა დელეგაციას უკან დაიხიოს თავისი პრინციპული პოზიციიდან. დე გოლი მოუწოდებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქტი მიჩნეულ იქნეს „წმინდა ადგილობრივ ინციდენტად“ და დაიწყოს თათბირი.

ამასთან პრეზიდენტმა დე გოლმა დაიმოწმა ეიზენჰაუერის ბუნდოვანი დაპირება ამერიკის საფრანგეთის ფრენის შეჩერების შესახებ.

მაკმილანის განცხადება

პარიზი, 17 მაისი, (საკადესი). გამოგვიდა რა ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა წინასწარ შეხვედრაზე პარიზში, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ „უმაღლესი დონის თათბირისათვის ხანგრძლივი და საწყალებელი მზადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მწვერვალი ღრუბლებით არის დაფარული“. მან განაცხადა, რომ —„საკმაოდ ესმის გრძნობები“, რომლებიც გამოიწვია ამერიკის თვითმფრინავის ჯაშუშურმა ფრენამ სსრ კავშირის ტერიტორიაზე. მან აღიარა „ბ-ნ ხრუშჩოვის არგუმენტების საფუძვლიანობა“. მაგრამ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა თავი შეიკავა დაეგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება და მოუწოდა საბჭოთა დელეგაციას ფაქტიურად უარი თქვას თავის პრინციპულ და პირდაპირ პოზიციაზე და დაიწყოს თათბირი.

ეიზენჰაუერის განცხადება

პარიზი, 17 მაისი, (საკადესი). ამერიკის დელეგაციამ ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პარიზის თათბირზე გაავრცელა ტექსტი განცხადებისა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გააკეთა გუშინ დელეგაციათა მეთაურების წინასწარ თათბირზე. თავის განცხადებაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მან, იყო რა გაცნობილი ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების შინაარსს, „უაღრესად გულდასმით ჩაუფიქრდა საკითხს, როგორ სჯობია იმოქმედოს“, რათა „გამორიცხულ, შეიძლება თუ არა დღევანდელ დახურულ სხდომაზე გამოიჩინოს გონივრულობა და თავშეკავება და ბოლო მოუღოს ამ საკითხს ფრენის შესახებ, რაც შესაძლებელს გახდის გაგრძელდეს თათბირი“. მაგრამ ეიზენჰაუერის გამოსვლის სულისკვეთება და შინაარსი სრულიადაც არ მოწმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებას ნამდვილად უზრუნველყონ თათბირის მოწყობის შესაძლებლობა. იმის მაგივრად, რომ დაგმოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება, მოიხადოს ბოდიში, იკისროს ვალდებულება, რომ აღარასოდეს არ მოხდება ასეთი მოქმედება და დასაჯოს დამნაშავენი, ეიზენჰაუერმა ფრიად ბუნდოვნად თქვა, რომ „ამასწინანდელი ინციდენტის შემდეგ ეს ფრენა შეჩერებულია და არც აპირებენ მის განახლებას“. ასეთი სხვათა შორის მოცემული დაპირება მით უფრო არადამაჯერებლად გაისმის, რომ იქვე ეიზენჰაუერმა დაიმოწმა თავისი 11 მაისის განცხადება და სახელმწიფო მდივნის ჰერტერის 9 მაისის განცხადება, რომლებშიც მისი სიტყვით „ნათლად იყო მოცემული შეერთებული შტატების პოზიცია ჯაშუშური საქმიანობის არასასიამოვნო საკითხების შესახებ“. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ირწმუნებოდა, თითქოს ამგვარ ჯაშუშურ საქმიანობას „არ ჰქონდა აგრესიული მიზნები“, მაგრამ „უნდა უზრუნველყოს შეერთებული შტატებისა და თავისუფალი სამყაროს უშიშროება“. ამრიგად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფაქტიურად არ გამოიჩინა მზადყოფნა ამოსწუროს საკითხი და ნამდვილად უზრუნველყოს თათბირის ნორმალური მუშაობის შესაძლებლობა.

არა, ისინი ვერ შეგვაშინებენ

ამ დღეს მოუთმენლად ველოდით, ამ დღეზე მეტად დიდ იმედებს ვამყარებდით ადამიანები...

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო მშვიდობის ურყევი ბურჯი. სიტყვითაც და საქმითაც ყოველთვის სიცოცხლესა და ხალხთა უფლებებს იცავდა; სწორედ ამ რწმენით გაემგზავრა ამახანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი პარიზში უმაღლეს დონეზე თათბირში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ ისინი დაინტერესებული არ არიან მშვიდობით.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის 16 მაისის განცხადებამ ფარდა ახადა შეერთებული შტატების მთავრობის პროვოკატორულ პოლიტიკას, რომლის მიზანია იყოლიოს ხალხები ომის ზღვარზე.

ჩვენი ქვეყანა მშვიდობის ბურჯია.

დ. ანთაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

სიმართლე გაიმარჯვებს

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებში დიდი ყურადღებით ეცნობიან საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მეთაურებისადმი. სოფელ ზანის ოდნონის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა შესვენების დროს მოაწყეს მიტინგი, რომელზეც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ბაკურაძემ განაცხადა:

— საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონისძიებას იღებს იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას საყოველთაო მშვიდობა. ამახანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის განცხადებაში აღნიშნა: „ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნია, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებმა, საზოგადოებრიობამ სწორად გაგვიგონ. საბჭოთა კავშირი უარს არ ამბობს ღონისძიებებზე, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გონივრული შეთანხმებანი შესაძლებელია, მაგრამ, ეტყობა არა ამჟამად, არამედ სხვა დროს“.

ჩვენ კოლმეურნეები მთლიანად ვიწონებთ ამახანაგ ხრუშჩოვის განცხადებას და მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი აიღონ თავიანთ პროვოკაციულ პოლიტიკაზე. ჩვენი ხალხები საზღვრის დამრღვევებს საკადრის პასუხს გასცემენ.

სიტყვა წარმოთქვა მეჩაიე ეთერ კვირაიამ, რომელმაც მოიწონა ჩვენი მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა და მზადყოფნა ომის გამჩაღებელთა პროვოკაციულ დარტყმას გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხოთ.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა სოფელ ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ადამიამ, მეჩიიემ გელი ქვარცხავამ და სხვებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგ ხრუშჩოვის განცხადება და პირობა დადეს გაორკეცონ მუშაობა, იბრძოლონ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის და თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

სურათზე: თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს მუშები მიტინგის წინ. ზეინკალი გ. საური (ცენტრში) ამხანაგებს აცნობს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების ტექსტს და გამოთქვამს გულისწყრომას ამერიკის მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გზა ვარსკვლავეგისაკენ!

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვების ვიზუალურ-ოპტიკური სადგური.

თანამგზავრ ხომალდზე დაკვირვებას აწარმოებენ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები (მარცხნიდან) რ. ჩეჩელაშვილი და გ. წიფურია.

თანამგზავრმა ხომალდმა დილის 4 საათსა და 22 წუთზე გადაუარა თბილისს, ხოლო მატარებელმა რაკეტამ მას გაუსწრო რამდენიმე წამით. თანამგზავრის დანახვა შესაძლებელი იყო შეუიარაღებელი თვალითაც.

ფოტო გ. გოგოხიისი.

მშვიდობის ხომალდი

15 მაისს ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ გაშვებული თანამგზავრი ხომალდი გზას უკვლევს ადამიანის უსაუშრო ფრენას კოსმოსში. ეს არის ახალი დიდი ნაბიჯი კოსმოსის ათვისების საქმეში. იგი გვაძლევს იმის მტკიცე რწმენას, რომ ადამიანი შეძლებს უახლოეს მომავალში კოსმოსში მოგზაურობას.

თანამგზავრი ხომალდის გაშვებას დიდი მეცნიერული და კოლიტიკური ღირებულების აქტია, რომელიც სიამაყით ალავსებს და ახალი შრომითი გმირობისათვის აღაგზნებს ყველა საბჭოთა ადამიანს.

პროფესორი
Ა. ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ᲒᲣᲚᲡ ᲣᲮᲐᲠᲘᲐ

ᲒᲣᲚᲘ უდიდესი სიამაყის გრძნობით აივსო: საბჭოთა თანამგზავრი ხომალდი კოსმოსში დაქრის...

ეს არის მშვიდობის, ბედნიერების შესანიშნავი ვარსკვლავი, კაცობრიობის პროგრესის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის მსახური. ოკეანესგადმელმა ბანდიტებმა კი ამას წინათ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ცის წმინდა ლაჟვარდში მშვიდობის მტერი ჯაშუშ-მფრინავი შემოგზავნეს. მაგრამ იგი განადგურებულ იქნა.

მე ყოფილი ფრონტელი ვარ, სახელოვან საბჭოთა არმიასთან ერთად მტრის ბუნაგში — ბერლინში ვიზეიმე კაცობრიობის გაზაფხული — გამარჯვების დღე. როგორც ჩვენი საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხ. ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ პარიზში გაკეთებული განცხადებიდან ჩანს, იმპერიალისტები ცეცხლთან თამაშს არ იშლიან. მათი ბნელი გეგმები განწირულია ჩასაფუშავად. ჩვენ მთლიანად ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

საყვარელი სამშობლოს დიდება — მშვიდობის მეკვლე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდი ლაღად მოძრაობს კოსმოსში...

დიდება გმირ, მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხს.

Ვ. ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ზენიკალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲤᲠᲗᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲕᲤᲠᲘᲜᲓᲔ...

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ დიად აღმოჩენათა ხანაში მცოცავრობთ... გულს სიამაყის გრძნობა იპყრობს, რომ ჩვენი სამშობლო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელიც კოსმოსურ სასწაულებს ახდენს.

ახლანდელმა კოსმოსურმა ხომალდმა ყველაფერი დაჩრდილა. ეს ხომალდი ზღაპრული ფრენელივით აიკრა სასწაულებრივ სიმაღლეზე და არა მარტო იკვლევს იქაურობას, არამედ დედამიწაზეც გადმოსცემს ყველაფერს ზუსტად. ამიტომ არც საკვირველია, რომ ერთ მშვენიერ უახლოეს დღეს ადამიანი კოსმოსში აიჭრება, აზრი და გონება ოცნების ფრთებით მეშვიდე ცას მოეკვლება თავს, დღემდე პოეტური ვარსკვლავიანი სამყაროს ხელშესახებ რეალობად იქცევა.

იხარე და იდიდე ჩემო სათაყვანებელო სამშობლოვ! დღეს მტრებიც კი ვეღარ უარყოფენ შენს ძლიერებას, შენს დიად კეთილგონიერებას, რომელიც მშვიდობის, სიცოცხლისა და ხალხების საკეთილდღეოდ გზას ჰკაფავს ვარსკვლავებისაკენ. როგორც დიდი შოთა იტყოდა, სწორედ ისეთი დროა ახლა: მომცეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ.
საქართველოს სახალხო პოეტი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲜᲘ

ᲣᲓᲘᲓᲔᲡ სიხარულს განვიცდი იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები მსოფლიოში პირველნი იპყრობენ კოსმოსს. უკვე დგება დრო, როცა შეიძლება ლაპარაკი კაცობრიობის კოსმოსურ მომავალზე, როგორც გარდუვალ ეტაპზე ადამიანთა საზოგადოების შემდგომ პროგრესში.

ჩვენ, კოლმეურნეები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, აღფრთოვანებული ვართ სამამული ტექნიკის უდიდესი მიღწევით.

ამ საკაცობრიო მიღწევას ეუპასუხებთ თავდადებული შრომით. ვადამდე შეასრულეთ თესვის დაგალება, გაჩაღებულია ჩვენი სიამაყის — ქართული ჩაის ფოთლის კრეფა. წელს ვალდებულებით უნდა მოვკრიფოთ 150 ტონა, ამ ვალდებულებას გადავაჭარბებთ ათი ტონით.

Ნ. ᲚᲚᲝᲜᲢᲘ,
ლანჩხუთის რაიონის ქვემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

16 მაისის 20 საათისათვის მოსკოვის დროით თანამგზავრმა ხომალდმა 28-ჯერ შემოუარა დედამიწას. საბჭოთა კავშირის ყველა საზომი სადგური და მიმღები პუნქტი კვლავ აწარმოებს რეგულარულ დაკვირვებას თანამგზავრ ხომალდზე და იღებს მეცნიერულ ინფორმაციას თანამგზავრ ხომალდზე დადგმული აპარატურის მუშაობის შესახებ. მეცნიერულ გაზომვათა მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ექსპერიმენტულ კაბინაში, რომელიც გათვალისწინებულია კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გაფრენის პირობების შესასწავლად, ყველა ძირითადი პარამეტრი შენარჩუნებულია ნავარაუდევ ნორმათა ფარგლებში. მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხური ამჟამად მოძრაობს იმ ორბიტით, რომელიც ძალიან უახლოვდება თანამგზავრი ხომალდის ორბიტას. თანამგზავრი ხომალდის ვიზუალური დაკვირვება შეიძლება მზის ამოსვლის წინ ჩრდილოეთ განედის 35 გრადუსიდან 49 გრადუსამდე და მზის ჩასვლის შემდეგ სამხრეთ განედის 55 გრადუსიდან 70 გრადუსამდე.

თანამგზავრი ხომალდის სიგნალების მოსასმენად ქვემოთ ჩამოთვლილია ის პუნქტები, რომელთა რაიონში იგი გაივლის (დრო მოსკოვისაა). დამკვირვებელთა ორიენტირების მიზნით იმ პუნქტებში, სადაც შესაძლებელი იქნება თანამგზავრი ხომალდისა და მისი მატარებელი რაკეტის ვიზუალური დაკვირვება, ნაჩვენებია მათი მოსალოდნელი გამოჩენის მიმართულება. ტაშკენტი (დასავლეთი) — 2 (2) საათსა და 11 (11) წუთზე, თბილისი (დასავლეთი) — 3 (3) საათსა და 42 (42) წუთზე, ხაბაროვსკი — 3 (3) საათსა და 58 (58) წუთზე, ბელგრადი (სამხრეთ დასავლეთი) — 5 (5) საათსა და 13 (13) წუთზე, ლენინგრადი — 5 (5) საათსა და 17 (17) წუთზე, მადრიდი (სამხრეთ დასავლეთი) — 6 (6) საათსა და 43 (43) წუთზე, ლონდონი — 8 (8) საათსა და 20 (20) წუთზე, ნოვოსიბირსკი — 8 (8) საათსა და 33 (33) წუთზე, დელი — 10 (10) საათსა და 11 (11) წუთზე, ნიუ-იორკი (სამხრეთ დასავლეთი) — 11 (11) საათსა და 18 (18) წუთზე, ჩიკაგო — 12 (12) საათსა და 49 (49) წუთზე, ბერლინი — 13 (13) საათსა და 06 (06) წუთზე, პარიზი — 14 (14) საათსა და 39 (39) წუთზე, ტოკიო — 20 (20) საათსა და 23 (23) წუთზე, ბუენოს-აირესი — 21 (21) საათსა და 07 (07) წუთზე, პეკინი — 21 (21) საათსა და 54 (54) წუთზე.

(საკდესი).

ᲕᲘᲐᲙᲣᲠᲝᲒᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲚᲣᲓᲔᲔᲑᲡ

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ თანამგზავრი ხომალდი კოსმოსში გაფრინდა! ამ ცნობამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია კოლმეურნეებში. მათ ახარებს ის, რომ ყოველ დღეს ახალი წარმატებები მოაქვს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. პირადად მე ამ უდიდეს მიღწევას ვთვლი ჩვენი მეცნიერების ტრიუმფად. ჩვენი სამშობლოს უმაღლესი გამარჯვებად.

დრო გაიგონ საზღვარგარეთის იმპერიულმა წრეებმა, რომ ჩვენ ეშრომობთ ხალხის კეთილდღეობისათვის, ვქმნით ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს და ამით განვამტკიცებთ საყოველთაო მშვიდობას. ჩემი ბრიგადის წევრები ენერგიულად შრომობენ, რათა 12 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 9 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეჩაიეებმა ლუბა სახოკიამ, ვერა ხვიტიამ, ნთელა გარდაფამ, ციცი შონიამ თავიანთი სიხარული გამოხატეს თანამგზავრი ხომალდის გაშვების გამო და ვალდებულება იკისრეს თვითეულმა ნახევარ ჰექტარზე მოკრიფოს 5-7 ტონა ჩაის ფოთოლი.

კვლავაც დაუღალავად ვიშრომებთ საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲧᲣᲤᲣᲜᲘᲐ,
ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲛᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐ საბჭოთა ადამიანი აღშფოთებულია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავის პროვოკაციული შემოჭრით. ამერიკელი იმპერიალისტები კვლავ აგრძელებენ „ცივი ომის“ პოლიტიკას, ცდილობენ მსოფლიო გაზვიონ ომის ქარცეცხლში. ამას ადასტურებს ბ-ნ ჰარტერის განცხადება.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მშვიდობა გვსურს და კიდევაც ვიბრძვით მისი განმტკიცებისათვის, მაგრამ თუ კიბმე შეეცდება საბჭოთა ქვეყნის სახზღვრების დარღვევას, საკადრის პასუხსაც ეიღებს. საბჭოთა მეცნიერების დაუღალავი შრომით ჩვენი ქვეყანა აღჭურვილია თავდაცვის მძლავრი საშუალებებით. ეს ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაგვანახვა საჰაერო პირაღის დასკვის ფაქტმა.

საბჭოთა ადამიანები უსაზღვრო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ ბრწყინვალე მიღწევას — კოსმოსური რაკეტის გაშვებას დედამიწის ორბიტაზე. ეს მიღწევა ადამიანის გონების დიდი გამარჯვებაა. იგი ჩვენი საინჟინრო ხელოვნებისა და მრეწველობის დიდი განვითარების მაჩვენებელია და მოწმობს უსაზღვრო შესაძლებლობებს კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, თუ ამ დიდ მიღწევას მოჰყვება სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა შორის უფრო მეტი ურთიერთგაგება.

გულის ტკივილით აღვნიშნავ, რომ ამერიკის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა პარიზის თათბირზე არ გამოიჩინა ურთიერთგაგების სულისკვეთება.

ჩვენ მაინც გვწამს, რომ საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა და ის დიდი ენერგია, რასაც ნიკიტა სერგის-ძე ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ახმარს მშვიდობის საქმეს, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთსულანი მისწრაფება მშვიდობისადმი, ბოლოს დგ ბოლოს გაალხობს „ცივი ომის“ ყინულს და განამტკიცებს მშვიდობას და ხალხთა შორის მეგობრობას.

Ვ. ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲝᲕᲘ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი.

ᲠᲘᲡᲮᲕᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲡ!

ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოს მაღალმთიანი რაიონის ქალაქ დუშეთის მშრომელები მოუთმენლად ელოდნენ ახალ გაზეთებს, სადაც გამოქვეყნებულია ამხანაგ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ განცხადება.

ქალაქის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადებას და თავიანთ ხმას უერთებენ ჩვენი ქვეყნის ხალხების სამართლიან გულისწყრომას იმისადმი, ვინც გამოაცხადა ეაჰაღური პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

საუბრის დროს, რომელიც ამ საკითხზე დუშეთის რაიონული საავადმყოფოს თანამშრომლებს შორის გაიმართა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. კულულაშვილმა განაცხადა:

— საბჭოთა მთავრობა განუხრელად ემსახურება მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკას. ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ტრიუმფალური გამარჯვება — დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაშვებულ იქნა კოსმოსური ხომალდი. მაგრამ ეს როდი მოსწონთ ყაჩაღური პოლიტიკის მესვეურებს. ამერიკის მმართველი წრეების უსინდისო და თავხედური განცხადება იმის შესახებ, რომ მათი ავიაცია კვლავაც განახორციელებს საბჭოთა კავშირის ფარგლებში სამხედრო ჯაშუშური მიზნებით შემოჭრას, უდიდეს გულისწყრომას იწვევს ჩვენში.

საბჭოთა ცა მუდამ სუფთა უნდა იყოს. რისხვა ამერიკელ აგრესორებს!

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კულულაშვილი დუშეთის რაიონული საავადმყოფოს ექიმებს აცნობს ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ განცხადებას.

ფოტო გ. გოგოხიისი.

ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲒᲐ 145.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲣᲭᲘᲠᲝᲗ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲕᲠᲪᲔᲚᲝᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲙᲠᲔᲤᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲝᲒᲐᲫᲐᲫᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალგაზრდა კოლმეურნე ნაირა გოგატაძე ჩაის ფოთლის საკრეფად გასვლის პირველი დღეებიდანვე გვიჩვენებს შრომის ნაყოფიერების მაღალ ნიმუშებს. იგი ყოველდღიურად კრეფს შარშანდელზე 3-5 კილოგრამით მეტ ჩაის ფოთოლს.

ნაირა გოგატაძემ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ მეშვეობით მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს — ყოველდღიურად კრიფონ მეტი ჩაის ფოთოლი შარშანდელთან შედარებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ნ. გოგატაძის შესანიშნავ თაოსნობას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მეჩაიეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის — მოკრიფონ შვიდწლედის მეორე წელს 145 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი — 5 ათასი ტონით მეტი, ვიდრე მოკრეფილი იყო 1959 წელს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ამ პატრიოტულ თაოსნობას გამოეხმაურება რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მეჩაიე.

მეჩაიეობის რაიონების პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ აქტიურად დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ ნაირა გოგატაძის პატრიოტული თაოსნობა, ფართოდ გამალონ მეჩაიეთა სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით: ყოველდღიურად კრიფოთ შარშანდელზე მეტი ჩაის ფოთოლი!

რესპუბლიკურმა, საოლქო, რაიონულმა გაზეთებმა ფართოდ უნდა გააშუქონ მეჩაიეთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ყოველდღიურად შარშანდელზე მეტი ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში. (საქდესი).

ᲑᲐᲠᲐᲥᲐᲚᲐ, ᲨᲔᲜ!

ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ხალიხით ჩაუბრძნდა ჩაის პლანტაციებს, სიყვარულით შეავლებდა თვალს მწვანედ მობიბინე ჩაის ბუჩქებს, შეეხმიანებოდა იქ მომუშავე გოგონებს და პირობას მისცემდა არდადეგების დაწყებიდანვე გვერდში ამოსდგომოდა მათ. ასეც იყო: სწავლაში მოწინავე, შრომაშიც ზრავის ჩამორჩებოდა.

დაამთავრა საშუალო სკოლა და კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში დაიწყო მუშაობა. გასულ წელს მისთვის მიმაგრებული 0,8 ჰექტარი ჩაის ნაკვეთიდან გეგმით გათვალისწინებული ათასი კილოგრამის ნაცვლად 2.100 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. კოლმეურნეებმა კიდევ უფრო შეიყვარეს შრომაში გამარჯვებული გოგონა. ის ხომ მათ მხარდამხარ მონდომებით იბრძოდა 140 ათასი ტონა ჩაისათვის. ეს იყო შვიდწლედის პირველ წელს.

ჩვენი რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში ახალი ძალით გაიშალა მუშაობა წელს. შარშანდელთან შედარებით მეტი ჩაის მიღებისათვის ბრძოლის საერთო ფერხულში ჩაება მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე ნაირა გოგატაძე. გამოცდილ მეჩაიეებთან ერთად ყველა სამუშაო აგროღონისძიებების მიხედვით შეასრულა. ჩაის მოსავლიანობის გადიდების მიზნით ნაკვეთში საჭირო რაოდენობით შეიტანა სასუქი. მზრუნველობას არ აკლებდა ჩაის თვითეულ ბუჩქს. უყურებთ მის მოკლილ ჩაის ნაკვეთს და რწმუნდებით, რომ იგი გულმოდგინეულ არის დამუშავებული, ეკვი არ შეგეპარებათ, რომ ნაირას ნაშრომი დაუფასდება, მაღალ მოსავალს მიიღებს.

ახალგაზრდა მეჩაიე ნაირა გოგატაძე ციბრუტივით ტრიალებს, იბრძვის ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. მან ხომ წელს იმავე ნაკვეთზე გასულ წელთან შედარებით 1.400 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი უნდა მისცეს დედა-სამშობლოს. სულ კი იკისრა მოკრიფოს 3.500 კილოგრამი ნაცვლად ათასისა.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა ნაირა გოგატაძემ: მან იკისრა გასულ წელთან შედარებით ყოველდღიურად მოკრიფოს 3-5 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი, ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ რაიონის მეჩაიეები. ნაირა გოგატაძეს უკვე მოკრეფილი აქვს 400 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ნ. გოგატაძე.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ



◆ **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** (საკ. კორ.). 17 მაისისათვის აჭარის მეჩაიეებმა მოკრიფეს 2.303 ტონა ჩაის ფოთოლი. მარშან ამავე პერიოდისათვის მოკრეფილი იყო მხოლოდ 490 ტონა.

წარმატებით მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ფიქრიე ᲧᲣᲠᲨᲣᲑᲐᲫᲔ.** მან ჩაისუბნის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა სულ 700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ერთ დღეს მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ა. ᲧᲣᲠᲨᲣᲑᲐᲫᲔ და Შ. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ კრეფის დღიური ნორმა 150-200 პროცენტით შესრულეს.

◆ **ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ.** (საკ. კორ.). 17 მაისისათვის გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 710.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, შარშან კი ამ რიცხვისათვის მოკრეფილი ჰქონდათ 660.000 კილოგრამი.

კრეფის ტემპი გაძლიერეს ხუნწის, კიწილის, ნაჯახაოს, თამაკონის კოლმეურნეობებმა.

ჩაის ფოთოლი უხვად შემოვიდა ნაგვეზაოს, დიდი ჭყონის კოლმეურნეობებში. აქ ყოველდღიურად 7-10 ტონა იკრიფება.

გამოჩნდნენ ჩაის კრეფის ოსტატები: ლეხაინდრაოელი მეჩაიე ლენინის ორდენოსანი მარიამ ქიქავა ყოველდღიურად 70-80 კილოგრამს კრეფს. გეგმა კი 15 კილოგრამს ითვალისწინებს. მას არ ჩამორჩებიან ნაჯახაოელი რაისა გახოკიძე და დაბა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარგო ჩიქვანაია.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 16 მაისი. („პრავდის“ სპეც. კორ.). ელისეს სასახლე მდებარეობს პარიზის ფაბურ სენტ-ონორეს ვიწრო ქუჩაზე, ქალაქის ცენტრში. დღეს აქ გაიმართა ოთხი სახელმწიფოს მთავრობების მეთაურთა წინასწარი შეხვედრა. უკვე დილით ადრე ადამიანთა ჯგუფებმა შეკრება იწყეს დიდ ჭიშკართან, საიდანაც გზა სასახლის ცენტრალური შესასვლელისაკენ მიდის.

თვითეულმა იმათგანმა, ვინც აქ მოვიდა, იცის, რომ მოლაპარაკების გადაეღება სერიოზული დაბრკოლება: საბჭოთა კავშირის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის აგრესიული კურსი. ყველას წაკითხული აქვს ცნობა ამერიკის სამხედრო ხროვის ბანდიტური აქტის შესახებ. გადიოდა დღეები, და სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ პაუერსის სამარცხვინო ფრენა არ იყო იზოლირებული ინციდენტი, რაც თითქოს მოაწყო ამერიკის სამხედრო ხროვამ, რომელსაც პოლიტიკისა არაფერი არ ესმის.

... საათის ისრები ათს უჩვენებენ. ჭიშკართან, საიდანაც გზა სასახლისაკენ მიდის, ცხენოსანი გვარდია გამოჩნდა. დოლის ხმაზე გაიარეს რესპუბლიკური გვარდიის ქვეგანაყოფებმა და დაეწყვნენ სასახლის შესასვლელის ორივე მხარეს. საფეხურებზე დგანან საფრანგეთის პრეზიდენტის მცველი ნაწილის ჯარისკაცები. თერთმეტ საათს ათი წუთი რომ აკლდა, სასახლესთან შეწყდა ქუჩაში მოძრაობა. შორიდან მოისმის მისალმების გუგუნი, რომელიც სულ უფრო ახლოვდება. პარიზელები — კაცები და ქალები — მიესალმებიან ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ, რომელიც მოდის ღია მანქანით ა. ა. გრომიკოს და რ. ი. მალინოვსკის თანხლებით. გაისმის მისასალმებელი მარში. ერთი წუთის შემდეგ მოდის ინგლისის მთავრობის მეთაური მაკმილანი, ხოლო შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, რომელსაც მრავალი მცველი ახლავს.

საფრანგეთის ამ ძველ სასახლეში ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ გააკეთა განცხადება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის.

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების პროვოკაციული ფრენის შედეგად და, რაც მთავარია, იმის შედეგად, რომ ასეთი ფრენა გამოცხადებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკად, საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი პირობები შეიქმნა. ეს უაღრესად ნათლად და მკაფიოდ უთხრა დღეს ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებს.

ვის შეუძლია განაცხადოს, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენა საბჭოთა ტერიტორიის თავზე შეიძლება შეთავსებულ იქნას მშვიდობიან დროს სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობის დაცვის მოთხოვნებთან? ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ასეთი ფრენა ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას? ან იქნებ ვინმეს ეჩვენოს, რომ ასეთი პროვოკაციული აგრესიული მოქმედება საჭირო პირობებს ქმნის უმაღლეს დონეზე თათბირის ნაყოფიერი მუშაობისათვის? არა. ყველაფერი ეს წინასწარ განზრახვით გაკეთდა იმისათვის, რომ წაეხდინათ სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობა, გაეძლიერებინათ საერთაშორისო დაძაბულობა, დაეტორპედებინათ უმაღლესი დონის თათბირი.

არსებითად საბჭოთა კავშირს წაართვეს შესაძლებლობა: მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია მისი მონაწილე ვიყოთ მხოლოდ თანაბარ საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარისათვის თანაბარი შესაძლებლობების პირობებში. ყოველი მოლაპარაკებისათვის საჭიროა ყველა მონაწილის სურვილი მიაღწიონ შეთანხმებას. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ასეთი სურვილი ჯერ არა აქვს. მან ეს გვიჩვენა თავისი მოქმედებით და თავისი განცხადებებით საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საჰაერო სივრცეში სამხედრო თვითმფრინავების შეჭრის გამო.

დღეს გვაგონდება შესანიშნავი ლენინური სიტყვები: „ამ ძველ სამყაროს აქვს თავისი ძველი დიპლომატია, რომელსაც არ შეუძლია დაიჯეროს, რომ შეიძლება პირდაპირ და აშკარად ლაპარაკი“. პირდაპირ და აშკარა განცხადებათა დიპლომატია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ ქვეყანას, რომლისთვისაც საჭირო არ არის ფარავდეს თავის პოლიტიკას. საჭირო არ არის ღობე-ყორეს ედებოდეს, სანახევროდ თქმით თამაშობდეს. ჩვენს მხარეზეა სიმართლის დიადი ძალა. ამაშია ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ დღევანდელი განცხადების ძალაც.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ განცხადება, რომელიც მან ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის სახელით გააკეთა, მთელ მსოფლიოს მოედო. ამ განცხადებას განიხილავენ ადამიანები დედამიწის ყველა კონტინენტზე. მსოფლიოს ყველა ენაზე გაისმის ახლა ხმები კეთილი ნების ადამიანებისა, რომლებიც გამსჭვალული არიან მისწრაფებით ბოლო მოუღონ იმპერიალისტთა საერთაშორისო ავაზაკობას და მათს უკანონობას მსოფლიო პოლიტიკაში, დაამყარონ მტკიცე საფუძვლები ყველა ქვეყანას შორის მშვიდობიანი ურთიერთობისათვის.

ადამიანებმა დღეს უფრო ზუსტად და ღრმად შეიგნეს, რომ ჩვენი სახელმწიფოსათვის მოლაპარაკება დიპლომატიური თამაშის საშუალება როდია. მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, გულისხმობს ყველა სახელმწიფოს აშკარა და ჰაეროსან პოლიტიკას. მზაკვრობითა და ვერაგობით მშვიდობის დამყარება არ შეიძლება!

ადამიანების შორის ძველთაგანვე შემოღებულია ხელის ჩამორთმევა. ხელს რომ უწოდებდა, ადამიანი აჩვენებდა, რომ იარაღი არ ეჭირა, რომ არ აპირებდა დაერტყა მეორისათვის. და თუ ადამიანი უწვდის მარჯვენა ხელს, ხოლო მარცხენაში მალავს იარაღს ფარული დარტყმისათვის, ეს ვერაგობაა და არა მეგობრული ხელის ჩამორთმევა.

და დღეს ვის მოუვიდა აზრად, რომ შეიძლება შეგვაშინონ ჩვენ, რომლებიც გრანდიოზულ ხომალდებს ვუშვებთ კოსმოსში, რომლებიც ვქმნით კომუნიზმის მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომლებმაც მივაღწიეთ მეცნიერების, კულტურისა და ადამიანური შეგნების შესანიშნავ მწვერვალებს?

საფრანგეთის მონოპოლიების გაზეთი „ეკო“ დღეს ანგარიშობს, როგორც ამის გაკეთება მიღებულია ბანკის მაგიდასთან, საბჭოთა კავშირის „წონას“: „210 მილიონი მცხოვრები... სამრეწველო წარმოება, რომელიც იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში, და... თანამგზავრი ხომალდი“. უკანასკნელი ორი სიტყვა მოცემულია რუსული ტრანსკრიპციით. ვგონებთ, „თანამგზავრს“ შემდეგ საერთაშორისო ენაში შევა აგრეთვე ჩვენი სიტყვა „ხომალდი“.

ერთი ფრანგი მეცნიერი გაზეთ „ორორში“ წერს: კოსმოსის სივრცეში პირველად გამოჩნდა ისეთი ხელოვნურად შექმნილი საგანი, რომელიც ადვილად

ხალხები გმობენ იმპერიალისტთა აგრესიას

★ ★ ★

მთელი მსოფლიო აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტულმა პოლიტიკამ. ამხანაგ ხრუშჩოვის განცხადებამ ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრთა წინასწარ შეხვედრაზე პარიზში მსურველი მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა მთელ პროგრესულ კაცობრიობაში. ყველა პატიოსანი ადამიანი მოითხოვს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ხელი აიღოს სსრ კავშირისა და მშვიდობის საქმისადმი მტრული დამოკიდებულების ახლანდელი კურსისაგან.

ქვეითთ ვაქვეყნებთ გამოხმაურებას ნ. ს. ხრუშჩოვის ამ განცხადებაზე.

ბოდიში მოვიხადოთ რუსეთის წინაშე

ნიუ-იორკი, 17 მაისი. (საკდესი). ამერიკის პრესაში ქვეყნდება რიგითი ამერიკელების წერილები. ისინი აღშფოთებული არიან ამერიკის თვითმფრინავის ჯაშუშური ფრენით, რომელიც შეიჭრა საბჭოთა კავშირის ფარგლებში. საათურით „ერთადერთი გადაწყვეტილებაა ბოდიში მოვიხადოთ“ გაზეთი „დე-მოინ რეჯისტერი“ აქვეყნებს მკითხველ ლონდელ მოტის (პრომგარი, აიოვის შტატი) წერილს. „ყოველთვის მინდოდა, —წერს იგი, — რომ ჩვენს წარმომადგენლებს საზღვარგარეთ მნიშვნელოვნად მეტი ღონისძიება მიეღოთ დაძაბულობის შესანელებლად, მეტი ნდობა მოეპოვებინათ და გადაეჭრათ გარდუვალად წამოჭრილი პრობლემები.

მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენი მოქმედება ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენ ვაფერხებთ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის, განიარაღებისათვის და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. უკანასკნელი დარტყმა იყო თვითმფრინავი, რომელიც რუსეთში დაიჭირეს.

არ ვიცი, საერთოდ როგორ აგხსნით ან გავამართლებთ ამ ეპიზოდს და არ მინდა ეს ვცადო რუსი მოქალაქის წინაშე. ერთადერთი გადაწყვეტა, რომელსაც მე ვხედავ, ის არის, რომ მალე მოვიხადოთ ბოდიში.

გაზეთ „დე-მოინ რეჯისტერის“ მეორე მკითხველი ჩარლზ ადამსი ოტამუადან (აიოვის შტატი) გმობს ამერიკის პრესის და თანამდებობის პირთა ყველა ცდას გამამართლონ ჯაშუშური ფრენა და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის ფრენამ „საფრთხე შეიქმნა უმაღლესი დონის თათბირს“. „საერთაშორისო ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი არსებობისათვის, — წერს ადამსი, — რომ დემოკრატიულად განწყობილმა ადამიანებმა მოითმინონ უპასუხისმგებლობა და სისულელე საერთაშორისო საქმეების გაძღოლაში. მთავრობა აშკარად დამნაშავეა“.

გაზეთ „დე-მოინ რეჯისტერის“, კიდევ ერთი მკითხველი ედგარ ეპერლი ქალაქ პელიდან (აიოვის შტატი) წერს, რომ ჯაშუშური თვითმფრინავის ფრენა „ამართლებს ბ-ნ ხრუშჩოვის განცხადებას. როგორც ჩანს, ახლა მთელი მსოფლიოს წინაშე დადასტურდა ბ-ნ ხრუშჩოვის სიტყვები, რომ მიზანი, რომელსაც ამერიკა ისახავს საზღვარგარეთ ბაზების აშენების დროს, არის არა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვა, არამედ რუსეთის მოსპობა. ან კავშირი იმ ადამიანებსა, რომლებმაც ამ ფრენის ბრძანება გასცეს, და ეროვნულ ხელმძღვანელობას შორის იმდენად ცუდია, რომ არ შეიძლებოდა ფრენის თავიდან აცილება, ან ჩვენ გვხელმძღვანელობს უპასუხისმგებლო ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ეთამაშებიან წყალბადის ომს... ჩვენ ბოდიში უნდა მოვიხადოთ რუსეთის წინაშე“.

„უკანასკნელმა კვირამ მაიძულა მრცხვენოდეს, რომ თავს ამერიკელს გუწოდებ, — წერს ბარბარა რიდი დენვერიდან (კოლორადოს შტატი) დენვერის გაზეთ „პოსტში“. — რაღა დარჩა თანასწორობისა და სიმართლის კეთილი ძველი ამერიკული იდეალებისაგან?...“

მკითხველი რეი უიტ-რიჯიდან (კოლორადოს შტატი) იმავე გაზეთში წერს: „ჩემი უნდობლობა სამხედრო ხელმძღვანელობისადმი არ შემცირებულა, როცა უმაღლესი დონის უმნიშვნელოვანეს თათბირამდე 10 დღით ადრე ამერიკის თვითმფრინავი, რომელმაც მოეფიქრებელი პროვოკაციული აქტი ჩაიდინა, შეფრინდა შორს საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში. ამაზე უკეთესი საშუალება რა უნდა გამოეგონებინათ სამხედრო პირებს იმისათვის, რომ ჩაეშალათ მოლაპარაკება?“

ს. ნ. ბერჩი ქალაქ დენვერიდან (კოლორადოს შტატი) საბჭოთა კავშირში ჯაშუშური თვითმფრინავის გაგზავნის გამო გაზეთ „პოსტში“ წერს: „ახლა ქრისტალურად ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთ ინციდენტებს შეუძლიათ დაანთონ ატომური ომი“.

ბერჩი მოუწოდებს ყველა ადამიანს „დაირაზმონ და მოსთხოვონ თავიანთ მთავრობებს არა მარტო პროვოკაციული ცივი ომის შეწყვეტა, არამედ აკრეფილ უახლოეს დროში შეთანხმების მიღწევა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ“.

კოსმოსური ტრასები

დახედე ამ ნახატს, მკითხველო! შენ ხედავ, საბჭოთა თანამგზავრები ს ა და რაკეტების მიერ გაკვალული გზების რა ხშირი ქსელა შემოხვეია ამუამად დედამიწას. კოსმოსური ტრასები აღწევენ მთვარეს, მიეშურები ან მზის მთელი სისტემისაკენ. კოსმოსი, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ცარიელი და მკვდარი იყო, სიცოცხლით ივსება. ჯერჯერობით კოსმოსის ახალი მოსახლეობა ავტომატური ლაბორატორიებია. მაგრამ უკანასკნელ მათგანს, რომელიც გაშვებული იქნა 15 მაისს, იმ ზღვარზე მივყავართ, რომელიც კოსმოსში თვით ადამიანის შესვლის მომასწავებელი იქნება.

ციფრებით ნაჩვენებია ტრაექტორიები პირველი (1), მეორე (2) და მესამე (3) საბჭოთა თანამგზავრებისა; საბჭოთა კოსმოსური რაკეტისა (4). საბჭოთა მთვარის რაკეტისა (5). კოსმოსურ ლაბორატორიისა, რომელმაც მთვარის უკანა მხარის ფოტოსურათი გადაიღო (6). ტრაექტორია (7) გვიჩვენებს 1960 წლის 15 მაისს გაშვებული თანამგზავრი ხომალდის მოძრაობას.



ბრწყინვალე გამარჯვება

ლენინგრადი, 16 მაისი. (საკდესი). როგორ აფასებთ ახალი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის გაშვებას? რა პერსპექტივებს სახავს მეცნიერებისათვის მისი გაფრენა? — ასეთი კითხვები მისცა საკდესის კორესპონდენტმა დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული საბჭოს თავმჯდომარეს, პულკოვოს ობსერვატორიის დირექტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ა. ა. მიხაილოვს, რომელმაც განაცხადა:

—ოთხ ტონაზე მეტი წონის ახალი საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის გაშვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისებისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თანამგზავრის სპეციალური მოწყობილობა შესაძლებლობას მოგვცემს ფრენის პირობებში გამოიცადოს სამარჯვები კოსმოსში ადამიანის მომავალი მოგზაურობისათვის.

ახალი კოსმოსური ხომალდი საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების შესანიშნავი ქმნილებაა.

15 მაისს დილით სინათლის სისწრაფით მოედო მსოფლიოს საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ამბავი. პარიზსა და ლონდონში დელისა და ნიუ-იორკში რადიოსადგურებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტეს თავიანთი პროგრამა, რათა გადაეცათ საკდესის ცნობა. ყველგან განცვიფრებული არიან საბჭოთა ადამიანის შემმართებლური გენიით.

განა დიდი ხანია დაიწყო კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გასვლის ერა? სულ ორნახევარ წელიწადზე ცოტა მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, იგი დაიწყო 1957 წლის 4 ოქტომბერს დილით, როცა ორბიტაზე გავიდა პირველი საბჭოთა თანამგზავრი 83.6 კილოგრამი წონისა და აი უკვე გაფრინდა ჩვენი პლანეტის გარშემო ცის ხომალდი.

ამ ხომალდზე ჯერჯერობით ადამიანი ფიზიკურად არ არის. მაგრამ, როგორც მართებულად შენიშნა ერთმა გერმანელმა ასტრონომმა, ადამიანი იქ არის წარმოდგენით. ხომალდის ჰერმეტულ კაბინს მიაქვს ტვირთი, რომელიც უდრის ადამიანის სხეულის წონას. ხომალდზე მოწყობილია ურთიერთი ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალი კოსმონავტის უსაფრთხოებას. და უკვე ამჟამად ყველასათვის ნათელია რომ შორს არ არის ის დღე, როცა ადამიანი კოსმოსში გაფრინდება. ნათელია ისიც, რომ პირველი კოსმონავტი საბჭოთა ადამიანი იქნება.

მაგალითად, ამერიკის „ჰრუს ასოშიეიშნის“ სააგენტოს მომომხილველი წერს: „ამჟამად რუსი მეჩაკეტე ინფინრები, ყოველ შემთხვევაში, იმდენად უსწრებენ ამერიკელებს, რამდენადაც უსწრებდნენ 1957 წელს ანდა შესაძლოა მეტადაც“.

მომომხილველი იუწყება ამერიკული რაკეტის „სატურნის“ პროექტის შესახებ. „სატურნის“ გაშვებისას განზრახულია შექმნან წევის ისეთივე ძალა, როგორიც აქვს საბჭოთა რაკეტას... მაგრამ „სატურნი“, როგორც ავტორი წერს, მზად იქნება მხოლოდ „გაიხად, ანუ ერთი წლით უფრო გვიან“.

ამერიკელებმა საერთოდ გაუშვეს დედამიწის 19 ხელოვნური თანამგზავრი. მაგრამ მეტი წილი ეს თანამგზავრები, ყურნალისტების მოსწრებული სიტყვით, „არის ფორთოხლები“ ან „ფეხბურთის ბურთები“ რამდენიმე ათეული გირვანქის წონისა (ამერიკული გირვანქა უდრის 453,5 გრამს). ყველაზე დიდი ამერიკული თანამგზავრი 770 კილოგრამს იწონის. ამავე დროს იგი გაყვანილია პოლარულ ორბიტაზე, რისთვისაც, როგორც ცნობილია, საჭირო რაკეტის წევის ნაკლები ძალა.

საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაფრენამდე ორი დღის წინათ ამერიკელებმა სცადეს გაეშვათ თანამგზავრი— ბურთი, რომლითაც სურდათ მოეწყოთ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადების რეტრანსლაცია (უმაღლესი დონის პარიზის თათბირზე). მაგრამ თანამგზავრი გაჭრა უცნობი მიმართულებით.—ფაქტები შეეჯახა იმედს — მართებულად შენიშნა ამის გამო ჩინური გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“.

მთელი მსოფლიო, მთელი პროგრესული კაცობრიობა ტაშს უკრავს ახალ საბჭოთა მეცნიერულ გმირობას!

— ის, რომ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა სწრაფად, რაშვიენთ მიჭრის წინ, ხოლო ამერიკისა ლოკოკინასავით მიცოცავს, უალრესად ქმედითად მოწმობს სოციალისტური სისტემის უპირატესობას — წერს ჩინური გაზეთი დგუნ ბაო“.

— ეს საუკეთესო ექსპონატია!, „ბილებში ჩაცხებაა ბაერის მეკობრეებისათვის!“, „საუცხოო ხაჩუქარია უმაღლესი დონის თათბირისათვის!“, „ვუსლოცავთ ჩვენს საბჭოთა ძმებს ახალ წარმატებას!“. ასეთი შეძახილებით შეხვდა საკდესის ცნობას კოსმოსური ხომალდის შესახებ პრაღის ათასობით მცხოვრები, რომელნიც მივიდნენ საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენაზე, ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში რომ გაიმართა.

— კოსმოსური ხომალდის გაშვება საბჭოთა კავშირში არ შეიძლება არ ემსახურებოდეს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. ყველა ჩვენგანს და მსოფლიოს ყველა ხალხს გვსურს არა „ღია ცა“, როგორც ამას მოითხოვს ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე (ოგულისხმავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი), არამედ ღია გული... რათა მეცნიერებს შეეძლოთ ითანამშრომლონ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ასე განაცხადა ეგვიპტელმა ასტრონომმა პროფესორმა ბაირომ.

ტოკიოში კვირას 15 მაისს დილით ჰიბიის პარკში მიმდინარეობდა მშრომელთა ათიათასიანი მიტინგი იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ წინააღმდეგ და სამხრეთ კორეის მოსახლეობის ბრძოლის მხარდასაჭერად. შუა მიტინგის დროს თავმჯდომარემ — იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამბ. მიიამოტომ განაცხადა, რომ იაპონიის რადიომ გადასცა სასწრაფო ახალი ამბავი სსრ კავშირში კოსმოსური ხომალდის გაშვების შესახებ. მიტინგის მონაწილეები ტაშის გრიალით შეხვდნენ ამ ცნობას.

ამ ამბავს აღფრთოვანებული გამოხმაურებით შეხვდნენ მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში. აი მაგალითად, რას წერს ინგლისური ბურუუაზიული გაზეთი „ნიუსქრონიკლი“: „ჩვენ შეგვიძლია რუსეთის მეცნიერთა განსაცვიფრებელ წარმატებას ჩვენი წარმატება ვუწოდოთ. რუსებმა დაამტკიცეს, რომ მათ ამისათვის ისეთი ცოდნა და უნარი აქვთ მეცნიერების ამ დარგში, როგორიც არავის არა აქვს მსოფლიოში“.

ი. არტემოვი,
საკდესის მიმომხილველი.

ამერიკელ კენტი აცხადებს...

ნიუ-იორკი, 17 მაისი, (საკდესი). ცნობილმა ამერიკელმა მხატვარმა, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ როკველ კენტმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში დაგმო ამერიკის თვითმფრინავების შეჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში.

„ჯაშუშური თვითმფრინავის ამ ინციდენტით და ჩვენი საკუთარი მთავრობის ქმედებით, — თქვა კენტმა, — თავი ვიგრძნეთ მთელი მსოფლიოს წინაშე“.

კენტმა განაცხადა, რომ ამგვარი ფრენა, როგორიც მფრინავმა პაუერსმა შეასრულა, უეჭველია, „სსრ კავშირის ტერიტორიული სუვერენიტეტის აღმაშფოთებელი დარღვევაა“. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მოსაზრება, რომ ამგვარი ჯაშუშური ფრენა საჭიროა, რადგან შეერთებული შტატები სხვანაირად ვერ ახერხებენ გამოარკვიონ საბჭოთა საიდუმლოებანი, ჰგავს ყაჩაღის არგუმენტს, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი თავს არ გაუტეხდა თავის მსხვერპლს, რომ ამ მსხვერპლს, თვითონ ნებაყოფლობით მიეცა მისთვის ფული.

პრემიერ ხრუშჩოვის მოთხოვნები უმაღლესი დონის თათბირის გახსნის წინ სავსებით დასაბუთებულია.

მაგრამ მან რმდი გამოთქვა, რომ იმ ფაქტის მიხედვით, რომ ეიზენჰაუერმა უკან წაიღო თავისი მუქარა საბჭოთა ტერიტორიაზე ჯაშუშური ფრენის განგრძობის შესახებ, უმაღლესი დონის თათბირმა, იქნება, შეძლოს, განაგრძოს მუშაობა და ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

„ეიზენჰაუერმა სანქცია მისცა სსრ კავშირში საჰაერო დაზვერვას“

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ სტატია

ШУРИСЛИЕЗА

ГЕРМАЗЕИИС СОЦИАЛ-ДЕЗОКРАЗЕИЦЕЗИ

ПАРТИИДАН ЗЕИЗРЕБИ ГАРИЦЕБЕ МОСКОВЗЕ ГАМЗОГЗАВРЕБИС ГАМИ

ბონი, 16 მაისი, (საკდესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქვემო რაინის ოლქის ორგანიზაციის გამგეობამ პარტიიდან გარიცხა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოთხი წევრი (ქალაქი რაინპაუზენი) იმის გამო, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს საპირველმაისო ზეიმში მოსკოვში საბჭოთა პროფკავშირების მიწვევით. გარიცხულთა ვინაობა პრესაში არ გამოცხადებულა.

ნიუ-იორკი, 16 მაისი. (საკდესი). სტატიაში, რომელიც ცინკეკერად დასათაურებულია „ამერიკის ჯაშუშობის შემთხვევა“, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სპეციალური მომომხილველი ჯ. ბოლდუინი წერს:

„გასულ კვირაში დიპლომატიის მეთვალყურეობა ექცეოდა ჯაშუშებისა და ჯაშუშობის საიდუმლო სამყაროს, რომელმაც დიდი ჩრდილი მიაყენა უმაღლეს დონეზე თათბირს. ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივ საერთაშორისო პოლიტიკის უკანა ეზოებში იმალებოდნენ, უეცრად მთელი მსოფლიოს გაზეთების პირველ გვერდზე მოხვდნენ, როცა რუსეთის ცენტრში ჩამოაგდეს ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავი, რომელიც დიდ სიმაღლეზე ფრინავდა.

ამ ჩამოგდებული თვითმფრინავის „უ-2“ ინციდენტმა მიიპყრო ყურადღება ამერიკის დაზვერვის სისტემისადმი და მთელი რიგი კითხვები დასვა.

რატომ აღმოჩნდა ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავი საბჭოთა რუსეთის ცენტრში? რა როლს ასრულებს საჰაერო დაზვერვა სადაზვერვო ცნობების შეგროვების მთელ პროცესში?

თვითმფრინავის „ლოკჰიდ უ-2“ გაფრენა იყო ამერიკის ერთ-ერთი დავალება სადაზვერვო ცნობების შესაგროვებლად...“

რას წარმოადგენდა თვითმფრინავის „უ-2“ გამოყენების პროგრამა? — კითხულობს ბოლდუინი. ვინ ხელმძღვანელობდა მას? ვინ მართავდა თვითმფრინავებს? სად ჰქონდათ ბაზა ამ თვითმფრინავებს?“

„თვითმფრინავი „უ-2“ კონსტრუირებული იყო დიდი საიდუმლოებით დაახლოებით 6 წლის წინათ „ლოკჰიდ ეიკრაფტ კორპორაციაში“ ვიცე-პრეზიდენტ კლარენს („კელი“) ჯონსონის მიერ. მაგ შემდეგ, რაც პროტოტიპმა დაამტკიცა თავისი შესაძლებლობანი, აგებულ იქნა რაღაც რაოდენობის ეს თვითმფრინავები. შენიშვნის მიზნით ეს თვითმფრინავები ზოგჯერ მართლაც იღებდნენ ჰაერის სინჯს ატმოსფეროს უმაღლეს შრეებში. (ატომგულის იარაღის აფეთქების შემდეგ რადიოაქტიური ნაწილაკების აღმოსაჩენად) და ეწოდნენ მეტეოროლოგიურ დაკვირვებას.

ზოგიერთ ამ თვითმფრინავს სახელმწიფო კონტროლს უწევდა აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო, ამასთან ამ თვითმფრინავებით დაფრინავდნენ სამოქალაქო პილოტები, რომლებიც დაქირავებული იქნენ „ლოკჰიდ ეირკრაფტ კორპორაციაში“ მიერ და იყოფებოდნენ სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალური „მეტეოროლოგიური“ ავიაფრთების „გამგებლობაში“. დანარჩენებს იყენებდნენ უშუალოდ სამხედრო-საჰაერო ძალები. ამრიგად, მთელი ეს საქმე ერთობლივი იყო...

რუსეთში საავიაციო დაზვერვის განხორციელების პროგრამა, აცხადებს ბოლდუინი, ცნობილი იყო თვით პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა და უმაღლესი ეროვნული საბჭოსათვის და სანქციონირებული იყო მათ მიერ. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იყო ხელმძღვანელი ორგანო და იძლეოდა ფინანსურ სამეალებებს. „უ-2“ გამოყენების პროგრამას იცნობდა კონგრესის რამდენიმე თვალაჩინო წევრი და სხვა პირები უმაღლესი ხელმძღვანელობიდან ვაშინგტონში მთელი რიგი წლების მანძილზე, მაგრამ ამ საიდუმლოებას გულდასმით ინახავდნენ“.

ბოლდუინი აღნიშნავს, რომ „თვითმფრინავები „უ-2“ მოქმედებდნენ მსოფლიოს ბევრი რაიონიდან, დაწყებული ალასკით და ალეუტის კუნძულებით და დამთავრებული გერმანიით, ჩრდილოეთ აფრიკით და თურქეთით“.

აღწერს რა ამერიკის საჰაერო ჯაშუშობის სამსახურის ორგანიზაციის სხვადასხვა დეტალს, ავტორი შემდეგ აცხადებს:

„როგორი იქნება საქმე შემდეგში? განხორციელდება თუ არა საჰაერო დაზვერვა?

რაღაც ფორმით საჰაერო დაზვერვა, უეჭველია, შენარჩუნებულ იქნება. შესაძლებელია, რომ თვითმფრინავები „უ-2“ ღარ იფრენენ საბჭოთა ტერიტორიაზე, თუმცა დანამდვილებით ამის თქმა არ შეიძლება. მაგრამ საჰაერო პატრულირება თავისუფალი სამყაროს საზღვრების „გაყოლებით“, უეჭველია, გაგრძელდება... საჰაერო დაზვერვა, უეჭველია, კვლავაც განხორციელდება“.

ნიქსონის ინჭერვიუ

ნიუ-იორკი, 16 მაისი. (საკდესი). შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა მისცა ინტერვიუ, რომელიც ტელევიზიით გადასცეს 15 მაისს საღამოს და რომელშიც იცავდა ჯაშუშურ დავალებათა შესასრულებლად საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის თვითმფრინავების გაგზავნის პოლიტიკას.

ნიქსონმა განაცხადა, რომ მან იცოდა დავალება თვითმფრინავისა „უ-2“, რომელიც ჩამოგდებულ იქნა სვერდლოვსკის ახლოს, და მოიწონა იგი. მან დადებითად უპასუხა კითხვაზე იცოდა, თუ არა წინასწარ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გადაწყვეტილება პაუერსის თვითმფრინავის გაგზავნის შესახებ. შეერთებულ შტატებს, განაგრძო ნიქსონმა, უხეში შეცდომა არ ჩაუდენია საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში საფრენად პაუერსის გაგზავნით.

ცდილობდა რა გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების პროგრამული მოქმედება, ნიქსონი კვლავ „ამტკიცებდა“, თითქოს უველაფერში დამნაშავეა... საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის უარმა მიეღო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება „ღია ცის“ შესახებ, განაცხადა ნიქსონმა, აიძულა პრეზიდენტი ეიზენჰაუერი „დაედასტურებინა სადაზვერვო მოქმედების პროგრამა“. უპასუხა რა კითხვაზე უმაღლეს დონეზე თათბირის წინ ასეთი ფრენის მიზანშეწონილობის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ასეთი ოპერაციების განხორციელების დროს საჭიროა გვქონდეს „განუწყვეტელი პროგრამა“.

იაპონია სამხედრო კავშირის წინააღმდეგ

ტოკიო, 16 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ზაცეპინი იუწყება: დღეს ქალაქებში ოსაკაში, ფუკუოკასა და სენდაში გრიალდებოდა იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ საწინააღმდეგ. გამოვიდნენ სპეციალისტები, რომლებიც გამოხატავენ როგორც კონსერვატიული, ისე დემოკრატიული ბანაკის ინტერესებს. ამ ხელშეკრულების რატიფიკაციისთვის იბრძოლნენ მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ ახალი სამხედრო შეკვეთების მოზდევების იმედი. თუმცა გახშირეულ საჯარო ეწოდება, მასში მონაწილეობის უფლება ცოტას ეძლევა. ამიტომ დღეს სამივე ქალაქში გაიმართა მშრომელთა დემონსტრაციები, რომლებიც მოითხოვდნენ თავისუფალ შეხვლას დარბაზებში, სადაც განხილა წარმოებს.

ქალაქ ფუკუოკაში, სადაც სხდომა ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო, მას შემდეგ რაც დაკმაყოფილებულ იქნა დემონსტრანტთა მოთხოვნა დარბაზში შეშვათ ყველა მსურველი და ქუჩაში დაელგათ რეპროდუქტორები, იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირი გააკრიტიკა უნივერსიტეტის პროფესორმა კიუსიე გუსიმამ. მან აღნიშნა, რომ „უშიშროების ხელშეკრულება“ აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას, არის წყარო პროვოკაციებისა მეზობელი ქვეყნების მიმართ. პროფესორმა აღნიშნა, თუ რა სერიოზული საფრთხეა იაპონიისათვის სამხედრო კავშირი შეერთებულ შტატებთან, სადაც „როგორც ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავის ინციდენტმა ცხადყო, ირიან ძალები, რომლებსაც ვერაფერი ვერ აკავებს და რომლებიც ომს ესწრაფვიან.“

ქალაქ ოსაკის რიცუმეი დაიგაკუს უნივერსიტეტის რექტორმა სუეკავამ განაცხადა, რომ, სანამ დამტკიცებდეს ხელშეკრულებას, რომელიც ფეხქვეშ თელავს იაპონიის სამშვიდობო კონსტიტუციას და მას კიდევ 10 წლით აკავშირებს ამერიკის სამხედრო მანქანასთან, მთავრობამ საჭიროა გითვალისწინოს ხალხის ნება. სუეკავამ განაცხადა: „ვერ გამიგია, თუ ერთი და იგივე ადამიანი, რომელიც წინათ შეერთებულ შტატებს უწრდებდა „ეშმაკს, მხეცს“ (მხედველობაშია მიღებული ახლანდელი პრემიერ-მინისტრის კისის გამონათქვამები ომის დროს წყნარ ოკეანეში), ახლა ამბობს, რომ სჯერა შეერთებული შტატების გულწრფელობა“.

შეერთებულ შტატებზე იაპონიის სამხედრო დამოკიდებულების გაძლიერებად მიიჩნია ხელშეკრულების ხელმოწერა პროფესორმა სოგავამ ქალაქ სენდაში გამართულ კრებაზე. პარლამენტმა, განაცხადა პროფესორმა, არ უნდა დაამტკიცოს ეს ხელშეკრულება, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლექტიურ უშიშროების სისტემას.

ამერიკელებმა „ეროვნული ბიბლიოთეკა“ ...

მსოფლიო ტაშს უკრავს საბჭოთა მეცნიერების ჭრიუმფს

15 მაისს დილით სინათლის სისწრაფით მოედო მსოფლიოს საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ამბავი. პარიზსა და ლონდონში დელისა და ნიუ-იორკში რადიოსადგურებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტეს თავიანთი პროგრამა, რათა გადაეცათ საკდესის ცნობა. ყველგან განცვიფრებული არიან საბჭოთა ადამიანის შემმართებლური გენიით.

16 მაისი...

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

საბჭოთა მეცნიერთა ...

...

...

##

აქ ინახება საუნჯენი

ამ ოცდაათი წლის წინათ ჩამოყალიბდა მწერალთა მუზეუმი, რომელმაც იმთავითვე ძველი მწერლობის ექსპონატების შეგროვებასთან ერთად ხელი მოჰკიდა თანამედროვე ლიტერატურული დოკუმენტების, — ავტოგრაფების შეკრებას, ლიტერატურული ადგილების დადგენასა და მწერალთა მიკარგული საფლავების მოვლა-პატრონობის საქმეს.

1938 წელს მწერალთა მუზეუმი მთაწმინდიდან ქალაქის ცენტრში — ჯორჯიაშვილის ქუჩაზე დამკვიდრდა და მას საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი ეწოდა.

თავის არსებობის 30 წლისთავზე მუზეუმმა შესძლო თავი მოეყარა ქართული ლიტერატურის იშვიათი ძეგლებისათვის. ამჟამად მუზეუმის ფონდში ითვლება 50.000-მდე ექსპონატი. მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველასა და სხვათა ავტოგრაფები. ამ უკანასკნელად მუზეუმმა შეიძინა გალაკტიონ ტაბიძის მდიდარი არქივი.

მუზეუმი როგორც ქართული ლიტერატურის ძეგლთა მდიდარი და ცენტრალური კერა ძველი ქართული ხელნაწერების საყურადღებო ფონდსაც შეიცავს. აქ ინახება პერგამენტზე ნაწერი XIII საუკუნის ოთხთავი (გიორგი მთაწმინდელის რედაქციით), აგრეთვე „ქილილა და დამანას“ დავითსეული ვერსია (მე-17 საუკუნე), „ომანინის“ ადრინდელი რედაქცია, „ამირან დარეჯანიანის“ ჩაჩიკაშვილისეული ხელნაწერი. „ვეფხის ტყაოსნის“, „სიბრძნე სიცრუის“, „სირინოზიანის“ და საბას ლექსიკონის მნიშვნელოვანი პირები.

საინტერესო ექსპონატები გვიამბობენ ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა მოძმე ხალხთა კულტურულ ლიტერატურულ ურთიერთობაზე. აქ ინახება ლერმონტოვის აბრეშუმის ცხვირსახოცი, პუშკინის უბის წიგნაკი, გრიბოედოვის ბრინჯაოს სამელნე, ილია ჭავჭავაძის ოქროს საათი, რომელიც მისი მკვლელობის დროს იქნა გატაცებული და სხვა მრავალი მემორიული ნივთი.

მუზეუმის ოკონოგრაფიული განყოფილება ბევრ ძვირფას ექსპონატს ინახავს, მათ შორის გამოჩენილი ქართველი მხატვრების ა. ბერიძის, ა. მრევლიშვილის, გ. გაბაშვილის, ი. ნიკოლაძის, მ. თოიძის და სხვათა ნახატებს, აგრეთვე რუსი მხატვრების ბუროვის, კოლჩინის, მეზენცევის და სხვათა ნაშუშევრებს.

ქართული მემუარული ლიტერატურისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა მიერ გულისხმიერებით ჩაწერილი მოგონებები, რომელთა გამოსაცემად დამუშავება მიმდინარეობს.

მუზეუმი მეცნიერული კვლევა-ძიებისა და მასალების შეგროვების მუშაობასთან ერთად ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწევა.

ახლახან მუზეუმმა დაბეჭდა 16 ფორმიანი „მეგზური“, რომელსაც წინ ერთვის მუზეუმის მოკლე ისტორია.

მუზეუმს თავის მეცნიერ მუშაკთა ძალებით დამზადებული აქვს დასაბეჭდად ხელნაწერთა აღწერილობის პირველი ტომი. შედგენილია მომმბარებელთათვის მოლიანი ფონდის კატალოგი და დამუშავებულია ცალკეული არქივები.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მუზეუმში დაცული მდიდარი მასალა საფუძველს წარმოადგენს, რათა მოეწყოს ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთიანი გამოფენა V საუკუნიდან დღემდე.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებას კი დიდად აბრკოლებს მუზეუმის შენობის მეტად მცირე ფართობი; დიდ საარქივო ფონდს, 25 თანამშრომელს, ყოველდღიურ დამთვალიერებლებს, სამეცადინოდ მოსულ მკვლევართ, საღამოობა და შეხვედრებს ესაჭიროება შესაფერისი შენობა.

ს. ჟიჟინაძე.

საჩუქარი მკითხველებს

ჩვენმა მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღო საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულისაგან“. ამ გამომცემლობის ინიციატივით ქართულ ენაზე გაიხსნა სერია „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“. გ. ნატროშვილის („ვითარ დავდამდი, ისე გავთენდი“) და დ. გვრიტიშვილის („ქართლის ცხოვრების მესიდუმლე“) მონოგრაფი-

ების შემდეგ გამოიცა პროფ. სერგი დანელიას წიგნი მიხეილ ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ (რედაქტორი ბ. ეღლენტი).

პროფ. ს. დანელია რუსული ლიტერატურის ისტორიის სერიოზული და დაკვირვებული მკვლევარია. მისი წიგნით, რომელიც ეყრდნობა როგორც ძველი, ისე საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევებს, მკითხველი გაეცნობა დიდი რუსი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანეს მომენტებს. წიგნი დაწერილია დახვეწილი ლიტერატურული ენით, მაშინდელი რუსული და ევროპული კულტურის, ლერმონტოვის პოეზიისა და პროზის ჭეშმარიტად მაღალი მხატვრულ-მეცნიერული შეგნებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლერმონტოვის პოემა „დემონის“ ლიტერატურულ-ფილოსოფიური ანალიზი, რომელიც მოცემულია ს. დანელიას წიგნში.

პროფ. ს. დანელიას მონოგრაფიას სიამოვნებით გაეცნობიან არა მარტო სტუდენტები, ლექტორები, ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტები, არამედ იგი უდავოდ გაიკვლევს გზას მასობრივი მკითხველის პირადი ბიბლიოთეკებისაკენ.

„კუტაისსკაია პრავდის“

მეათასე ნომერი

ქუთაისი. (საკ. კორ.). გამოვიდა საქალაქო გაზეთ „კუტაისსკაია პრავდის“ მეათასე ნომერი. თავისი არსებობის მანძილზე გაზეთმა დიდი მუშაობა გასწია მასებთან, მუშკორებთან და მკითხველებთან თავისი კავშირის განმტკიცებისათვის, ხალხთა ძმური მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების პროპაგანდისათვის, კომუნისტური შენებლობის ამოცანების განსახორციელებლად რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელთა მობილიზაციისათვის.

გაზეთი ფართოდ აშუქებს ამერკიკაკაესის მოძმე რესპუბლიკების სამი ქალაქის მშრომელთა ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას, რიგულარულად ბეჭდავს ლენინაკანისა და კიროვაბადის საქალაქო გაზეთების შემცველ გვერდებს.

გაზეთის მეათასე ნომერში, რომელიც 12 მაისს გამოვიდა, დაბეჭდილია მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების წერილები იმ მძლავრ შრომით და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომლითაც ქუთაისის მშრომელები უპასუხებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიულ სესიის მუშაობის შედეგებს. აქვე გამოქვეყნებულია მისალმებანი, მუშკორთა და მკითხველთა წერილები, რომლებშიც გამოთქმულია გაზეთის მუშაობის შემდგომი გაუჯობესებისაკენ მიმართული წინადადებანი.

ა. წერეთლის სახლ-მუზეუმში

წელს სრულდება ჩვენი სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადების 120 წელი. ამ თარიღს ზეიმით აღნიშნავს საქართველოს საზოგადოებრიობა, ყველა მშრომელი. იუბილეს დღეებში მრავალი ექსკურსანტი და ტურისტი მიაშურებს მგოსნის სამშობლო სოფელ სხვიტორს, დაათვალიერებს იმ სახლს, სადაც დაბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა პოეტმა.

ამასთან დაკავშირებით დაიწყო ა. წერეთლის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის პროექტი შექმნეს საქართველოს შახტმშენებლობის დაპროექტების ინსტიტუტის არქიტექტორებმა კ. ჩხეიძემ, ლ. ბერიძემ, ბ. სინაშვილმა.

მწვანით შეიმოსება სახლ-მუზეუმის ტერიტორია, შეკეთდება მისასვლელი გზები, ეზო შემოიფარგლება ლამაზი ღობით და ექნება მთავარი შესასვლელი. სახლის ეზო დამშვენდება ფანჩატურებით, ა. წერეთლის ნაწარმოებთა პერსონაჟების სკულპტურული ფიგურებით, მთელი ტერიტორია განათებული იქნება მხატვრული ტორშერებითა და ლამპიონებით.

ზედა ტერასაზე დაიდგმება ა. წერეთლის ბრინჯაოს ქანდაკება. იქვე გათვალისწინებულია საექსპონატო პავილიონის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას. ქვედა სართულში მოეწყობა საექპონატო დარბაზი, ზედა სართულში კი მაყურებელთა მოსაცდელი ღია აივნით.

„ცოცხალი პარიზი“ — ასე ჰქვია საფრანგეთის მხატვრულ ფოტოგამოფენას, რომელიც ამ დღეებში თბილისში გაიხსნა. შეხედეთ ამ სურათს! — სამასი მეტრის სიმაღლეზე ასულა მუშა. გატაცებით ღებავს იგი ეიფელის კოშკის კონსტრუქციას. ეს სურათი, რომელსაც ჰქვია „სიმაღლე 300 მეტრი. მუშა ღებავს ეიფელის კოშკს“, — ფოტოგამოფენის ერთ-ერთი საინტერესო ექსპონატია.



ესპანელები ერეკლეანელებს ემზადებიან

ევროპის თასზე ესპანეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების პირველი მატჩი, რომელიც 29 მაისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება, სპორტის მოყვარულთა საერთო ინტერესს იწვევს.

ამ დიდი მატჩისათვის ემზადებიან როგორც ესპანელები, ისე ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელები. გასულ კვირადღეს ესპანეთის ნაკრები მადრიდში შეხვდა ინგლისის ეროვნულ ნაკრებს, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა ფეხბურთელებით. ინგლისის ეს გუნდი 1962 წელს მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო პირველობის გათამაშებაში.

მასპინძელთა რიგებში იყვნენ ჰენტო. დი სტეფანო, პეირო, გარაი და სხვ. ამ გუნდის ზოგიერთ ძირითად მოთამაშეს შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია. მატჩი მიმდინარეობდა არახელსაყრელ ამინდში — წვიმდა.

თამაშში თავიდანვე იგრძნობოდა ესპანელთა უპირატესობა. მათი იერიშები უფრო ორგანიზებული და სრულყოფილი იყო, ვიდრე ინგლისელებისა. მასპინძელთა ერთ-ერთი იერიში 38-ე წუთზე გოლით დაგვირგვინდა. ლამაზი კომბინაციის შემდეგ ბურთი გაიტანა მარცხენა შუამარბმა პეირომ.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ესპანეთის ნაკრების ხასარგებლოდ 1:0.

მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა ცხადი გახდა. 33-ე წუთზე და თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ესპანეთის ცნობილმა ფეხბურთელმა დი სტეფანომ (№ 8) 2 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში. გაიმარჯვა ესპანეთის ნაკრებმა ანგარიშით 3:0.

მშვიდობის ველოსიპედოლაში გამარჯვებულნი

დამთავრდა მშვიდობის ტრადიციული ველოსიპედოლა მარშრუტით პრაღა-ვარშავა-ბერლინი. ამ დიდ ასპარეზობაში, რომელიც გამოირჩეოდა ბრძოლის სიმწვავით და შეუპოვრობით, მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების უძლიერესმა ველოსიპედოლელებმა.

მშვიდობის მე-13 ველოსიპედოლაში პირველი ადგილი მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ბულგარის გუნდი, მესამეზე — სსრ კავშირის გუნდი.

პირად ასპარეზობაში გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის წარმომადგენელმა ჰაგენმა.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ქალთა საერთაშორისო ტურნირი

გუშინ რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირის პირველი ტური ჭადრაკში.

საინტერესოდ მიმდინარეობდა იუგოსლავიელი ოსტატის ტერეზა შტადლერის და ელისო კაკაბაძის პარტია. დასაწყისში იუგოსლავიელმა მოჭადრაკემ უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ ე. კაკაბაძემ შესძლო ბრძოლის გართულება. მან მოიგო ფიგურა და ორმოცდამეერთე სვლაზე გაიმარჯვა.

რუმინელმა სპორტის ოსტატმა ელინა ბეტ პოლიხრონიადემ ერთგვარი უპირატესობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელ საერთაშორისო ოსტატ ედიტ კელერ-გერმანთან პარტიაში. მაგრამ შავებმა გაათანაბრეს თამაში და ყაიმს მიაღწიეს. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე მანანა ტოგონიძის და საერთაშორისო ოსტატ ჩეხოსლოვაკიელ რუეეინა სუხას შეხვედრა.

დებიუტიდანვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა საერთაშორისო ოსტატმა ლარისა ვოლპერტმა სპორტის ოსტატ ნონა გაფრინდაშვილთან მიიღო პოზიციური უპირატესობა. ქართველმა მოჭადრაკემ ვერ შესძლო კონტრთამაშის შექმნა, მოხვდა ძლიერ ციტხოტში და წააგო პარტია.

პოლონელი მოჭადრაკის სპორტის ოსტატ ჰენრიკა კონარკოვსკის და ალა ჩიკოვსკაიას პარტია ყაიმით დამთავრდა.

უნგრელი სპორტის ოსტატის ეფიტ ბილეკნეს და საერთაშორისო ოსტატ ანა ზუბარიკინას პარტია გადაიდო ოთხმეხედრის მწვავე დამოლოებაში.

დღეს გაიმართება მეორე ტური.

ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲬᲝᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო საჭადრაკო ტურნირის მეოთხე ტური.

ამ დღეს გამართული 7 პარტიიდან 6 შედეგიანი აღმოჩნდა და 1 გადაიდო.

სვერდლოვსკელმა ოსტატმა გ. ბასტრიკოვმა დამამარცხა შ. გეტერმანი (ტაშინოვი, ოსტატობის კანდიდატი), ჯანოევმა (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი) — დ. როვნერი (ლენინგრადი, ოსტატი), ა. ბლაგიძემ (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი) — ლ. არონსონი (ლენინგრადი, ოსტატი), ა. ბუსლაევი (თბილისი, ოსტატი) — ვ. ზახარიანი (ერევანი, ოსტატობის კანდიდატი), ვ. ილივიცკი (სვერდლოვსკი, ოსტატი) — ა. არუთინოვისა (ბაკო, ოსტატობის კანდიდატი) და ე. სტოლიარ (ლენინგრადი, ოსტატი) — ლ. ლისტენგარტენის (ბაკო, ოსტატობის კანდიდატი) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

რედაქტორი

დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

მსოფლიო კინოხელოვნების ისტორიაში გერმანიის კინემატოგრაფიას მუტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. გერმანული ფილმები თავისი მრავალფეროვნებითა და ეროვნული თავისებურებით, მხატვრულობით, ტექნიკით ყოველთვის იპყრობდნენ მაყურებელთა ყურადღებას.

30-იან წლებში გერმანიის აღმავლობის გზით მიმავალი კინემატოგრაფიის ხრდა ფაშისტურმა რეჟიმმა შეაჩერა. მოღვაწეთა ერთი ნაწილი საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა, მეორე ნაწილი ემიგრაციაში წავიდა (გეორგ პაბეტი, ულიამ დიტერლე) და უცხო ქვეყანას შეაფარა თავი, ნაწილი კი რეაქციას მიეყიდა და, ფიეფრად გადაგვარებული, შეძლებენ შემოქმედებითაც გადაგვარდა და ხელოვნებიდან გაარიყა.

ნაცისტური პერიოდი ყველაზე დამღუპველი იყო გერმანიის კინემატოგრაფიისათვის. ამ ხანებში არც ერთი მნიშვნელოვანი კინემატოგრაფიული ტილო არ შექმნილა და არც შეიძლებოდა შექმნილიყო. ხალხთმოძულე ხელისუფლების კინოხელოვნება ხალხთა მორის მტრობის გაღვივების, შოვინისტური გრძნობების გაერცელებისა და სისხლიანი ომების გაჩაღების იდეებს ემსახურებოდა.

ამ ტენდენციას მოკლებული არ არის დღეს ადენაუერის გერმანიის კინოხელოვნებაც. ამიტომ არის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბევრი კინომოღვაწე, რომელსაც ანა სუსს ემსახუროს რეაქციის ბნელ ზრახვებს, სამშუალოდ მიიწურფვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფიაში.

გერმანიის ნამდვილი სახალხო კინოხელოვნება აღმოცენდა და სწრაფად ვითარდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იგი აღმოცენდა საბჭოთა კინომუშაკებთან უახლოესი მეგობრული ურთიერთობისა და მათი დახმარების საფუძველზე 1946 წლის დამდეგს बाბელსბერგში, ძველი კინოგავრთიანების „უფას“ ნაგებობებზე. მოვიდნენ მშობლიური კინემატოგრაფიის პატრიოტები, თავდადებული მუშაკები, რომ მკვდრეთით აღედგინათ ომით დანგრეული კინოსტუდია, შეექმნათ ახალი გერმანიის კინოხელოვნება.

პირველი მერცხალი, რომელსაც მოაქვა ახალი კინოხელოვნების გაზაფხული, იყო ვოლფანგ შტაუდტეს ფილმი „ისინი ვერ დაიმალებიან“. კინოსტუდია „დეფას“ შემოქმედებითმა მუშაობამ ძალიან სწრაფად შეიცხა ფრთები და სულ მალე თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია. თავისი არსებობის 10 წლისთავზე 1956 წელს „დეფას“ უკვე 100 სურათი ჰქონდა გამოშვებული. ახლა კი სურათების რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღემატება.

აქტუალური სოციალური პრობლემები, ღრმა იდეური საფუძველი, საუცხოო მხატვრული ფორმა და ყოფის სოციალისტური გაგება, რაც ახალი გერმანიის ფილმებს ახასიათებს, წარმოადგენს საერთო წარმატებათა საფუძველს.

ფილმები „საშიში ტვირთი“, „საიდუმლო დავალება“ (რეჟისორი გუსტავ ფონ ვანგენჰაიმი), „მისი დიდი გამარჯვება“ (რეჟისორი ფრანც ბარენშტაინი), „დაუპატიჟებელი სტუმრები“ (რეჟისორი მ. გელბერგი), „პერი ჩვენი არსობისა“ (რეჟისორი ზოლტან დუდოვი), „ლისი“ (რეჟისორი კონრად ვოლფი) და სხვ. ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის, ადამიანის შეგნებაში კაპიტალისტური გადმონაშთების აღმოფხვრისათვის, ახალი ომის საშიშროების მოსპობისათვის ბრძოლის თემას მიეძღვნა.

კინოსტუდია „დეფას“ პროდუქციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფაშიზმის წინააღმდეგ გერმანელი ხალხის მოწინავე შვილთა თავდადებული ბრძოლებისადმი მიძღვნილ ფილმებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია განთქმული კინორეჟისორის კურტ მეტციგის დადგმები, ჩვენთვის ფრიად ცნობილი კინოსურათები: „ღმერთების საბჭო“, „ერნსტ ტელმანი — შვილი თავისი კლასისა“, „ერნსტ ტელმანი — ბელადი თავისი კლასისა“, გეორგ კლარენის ფილმი „ერთი ოჯახის ისტორია“ და სხვ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფია, როგორც ჩასახვისა და განვითარების სტადიაში მყოფი ახალგაზრდა ხელოვნება, ჯერ კიდევ თავისუფალი არ არის ნაკლოვანებებისაგან. დღემდე გამოშვებულ ფილმებში შესამჩნევია თემატური ერთფეროვნება, ყოფის არაღრმა ასახვა. ძალიან მცირეა სურათები მუშათა და გლეხთა ცხოვრებაზე, გერმანიის ხალხთა მთლიანობაზე და სხვ. მაგრამ ეს ნაკლოვანებები გამოწვეულია ახალი გერმანიის კინემატოგრაფიაში შინაარსისა და მისი შესატყვისი ფორმების ძიების სიძნელეებით. იგი ყოველწლიურად მზარდი ხელოვნებაა, რომლის მომავალიც ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების ისტორიული სიმართლით არის გარანტიებული. ამაზე მეტყველებენ ის წარმატებანი, რომლებიც მოპოვებული აქვთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფილმებს მსოფლიო ეკრანებზე. ამაზე მეტყველებენ ის ჯილდოები და პრემიები, რომლებსაც „დეფას“ ფილმები საერთაშორისო კინოფესტივალებზე იღებენ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალი, რომელიც ამჟამად მოსკოვსა და თბილისში მიმდინარეობს, ამ ქვეყნის კინოხელოვნების მიღწევების ნათელი დადასტურებაა.

ფილმები: „თეთრი სისხლი“ (რეჟისორი გოტფრიდ კოლდიტცი), „ვარსკვლავები“ (რეჟისორი კონრად ვოლფი), „პრემიერა გადადებულია“ (რეჟისორი კურტ იუნგ-ალზენი), „განკურნენ ბის საქმე“ (რეჟისორი იოაჰიმ კუნერტი), „ვერაგობა და სიყვარული“ (რეჟისორი მარტინ ჰელბერგი) და სხვ., რომლებიც თბილისელებმა ამ დღეებში უნდა ნახონ ნათელ წარმოდგენას შეუქმნიან მაყურებელს ახალ გერმანულ კინოხელოვნებაზე.

ეს ფესტივალი და მასთან დაკავშირებული საზეიმო ვითარება ნათელი გამოხატულებაა საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის მეგობრობისა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება.

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲒᲝᲒᲝᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: კადრი ფილმიდან „თეთრი სისხლი“.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის კოლექტივი კარგად ემსახურება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს. ამას წინათ სოფელ სინათლის კლუბის სცენაზე თეატრმა წარმოადგინა მ. როზოვის „ხალისიანი მეგობრები“, ხოლო ჭელაიელელელ კოლმეურნეებს უჩვენეს ქ. ხაფავას „მზექალი“.

თეატრი დასადგმელად ამზადებს და მალე მაყურებელს უჩვენებს ბ. ლავრენიევის „რღვევას“.

ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲗ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ?

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში წარმატებით გრძელდება საქართველოს სსრ 1960 წლის ფულისა და ნივთების მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთების გაყიდვა.

თუმცა მოგებათა ტირაჟამდე, რომელიც ქ. სტალინირში მოეწყობა 1960 წლის 15 ივნისს, ჯერ კიდევ ბევრი დროა დარჩენილი, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში ლატარიის ბილეთები მთლიანად გაყიდულია. გაყიდვა დასასრულს უახლოვდება თბილისში, ლენტეხის, კასპის, მცხეთის, წალკის რაიონებში და საქართველოს ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონში.

ტირაჟისათვის მზადება მთავრდება. სტალინირში გაიგზავნა საჭირო მოწყობილობა. სავაჭრო ორგანიზაციები საჭირო საქონელს გამოჰყოფენ.

როგორც ცნობილია, მოგებათა ტირაჟში გათამაშდება 3.375.000 მანეთი საერთო თანხის 90.000 ფულადი და ნივთის მოგება.

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ყვირილის ხეობა ჭიათურა-საჩხერის მიდამოები განთქმულია უძველესი გამოქვაბულებით. თვით სახელმოხვეჭილი ვახუშტიც შენიშნავს, რომ აქ არის კლდენი მაღალნი, გამოქვაბულნი და მოუვალნი.

ამ გამოქვაბულთა საიდუმლოების გაგება არ ასვენებდა ახალგაზრდა მაღაროელს, ვოროშილოვის სახელობის მაღაროს ელექტროზენკალს გოდერძი სამხარაძეს. მას უყვარს სპორტი და განსაკუთრებით ალპინიზმი, როგორც მამაცთა, უშიშართა სკოლა. მან შექმნა მაღაროელ ალპინისტთა ჯგუფი, რომელშაც არაერთი გამოქვაბული დაიპყრო. ალპინისტთა ჯგუფში გაერთიანებულია ახალგაზრდა მაღაროელები შ. ხვედელიძე, ვ. გოცაძე, ბ. გველესიანი, გ. კიკნაძე და სხვები, რომლებსაც უყვართ, იტაცებთ ქართველ წინაპართა ნაკვალევი.

ცნობილ „ცაცხის სვეტზე“, რომელიც ვახუშტის მიუვალი ეგონა, პირველად ფეხი დადგა საქვეყნოდ სახელგანთქმულმა ალპინისტმა, ჭიათურის მკვიდრმა ალეოშა ჯაფარიძემ. მის შემდეგ „ცაცხის სვეტი“ კვლავ „აიღეს“ ახალგაზრდა მაღაროელმა ალპინისტებმა გოდერძი სამხარაძის წინამძღოლობით.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ამხ. ნემსიწვერიძემ პირველმა დაიპყრო ყვირილის ხეობის ძნელად მისადგომი გამოქვაბულები. ერთ-ერთ დიდ გამოქვაბულში ასვლისას, სადაც აღმოჩენილ იქნა დიდი მარანი ოცდაოთხი ჭურით, ალპინიზმის ოსტატს თან ახლდა მაღაროელი გოდერძი სამხარაძე.

ახალგაზრდა მაღაროელმა ალპინისტებმა გამოქვაბულებში ასვლისას იპოვნეს არა ერთი საინტერესო ნივთი, სამუშაო თუ საბრძოლო იარაღი, რომლებიც ჩვენი სამშობლოს შორეულ წარსულს მიეკუთვნება. ისინი ადასტურებენ ქართველი ხალხის მდიდარ და შინაარსიან წარსულს.

მონდომებულმა და დაინტერესებულმა მაღაროელმა გ. სამხარაძემ ძვირფასი არქეოლოგიური მონაპოვარნი ფაქიზად შეაგროვა და მოაწყო პატარა გამოფენა.

მნახველის ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს უძველესი ბალთები ცხოველთა გამოსახულებით. ერთი მათგანი ნაპოვნია სოფელ რგანში „სპპარე კლდის“ გამოქვაბულში, ხოლო მეორე — ჭიათურაში მოსკოვის ქუჩაზე მიწის თხრის დროს. აღსანიშნავია, რომ აქვე აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის ნაწილები.

ცნობილ „გვარჯილას კლდის“ გამოქვაბულში (სოფ. რგანში), სადაც ჯერ კიდევ 1916 წელს პოლონელმა მეცნიერმა ს. კრუკოვსკიმ პალეოლითის ნიშნები აღმოაჩინა და მას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, ახალგაზრდა მაღაროელებმა იპოვნეს კაჟის საინტერესო დანები და საფხეკები.

აქვე ნახავთ ზვიგენის გაქვავებულ კბილს, რომელიც მარგანეცის დამუშავებისას არის ნაპოვნი, „კარიან კლდეში“ (სოფელი ხრეითი) ნაპოვნ უძველესი დათვის კბილებს, ძველი კერამიკის ნიმუშებს, მონეტებს. საინტერესოა ძველი ხოჯახო ნივთები, მეცხრამეტე საუკუნის თამასუქები, მიწების ყიდვა-გაყიდვის ხელწერილ-აქტები, რომლებიც ახალგაზრდებს მოსახლეობაში შეუგროვებიათ. განსაკუთრებით საყურადღებოა ღვინის სახმელი ჩვალიტრიანი კათხა, რომელიც სოფელ ბუნიკაურში ვ. კახიძის ოჯახში აღმოჩნდა. იგი ყოფილა ნაქონი ვ. კახიძის მეუღლის ბაბუის ნიკო ბარათაშვილისა, რომელიც 1832 წელს 85 წლის ასაკში გარდაცვლილა.

მდინარე ყვირილის ხეობაში, სადაც ყვირილას მდინარე ჯრუჭულა ერთვის, ამ დღეებში მიწის თხრისას აღმოჩნდა ბრინჯაოს უძველესი ნაჯახი. ეს და მსგავსი შემთხვევები ნათელყოფენ, რომ ჭიათურა-საჩხერის მიდამოები მდიდარია არქეოლოგიურ-ისტორიული ძეგლებით და ერთხელ კიდევ მოწმობენ აქ მხარემცოდნეობის მუზეუმის გახსნის აუცილებლობას. ეს უაღრესად კეთილშობილური საქმეა და უეჭველად უნდა გაკეთდეს.

Ჯ. ᲫᲘᲝᲙᲐᲫᲔ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჭიათურა.

* * *



ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ბრინჯაოს ბალთები, რომლებიც სოფელ რგანში ელექტრომონტიორმა გ. სამხარაძემ გამოქვაბულში აღმოაჩინა.

ფოტო ა. მაჭავარიანისა.

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რა კეთდება ახალი ფულის მომავალ გამოშვებასთან დაკავშირებით სასურსათო და სამრეწველო საქონლის გაყიდვის ავტომატიზაციისათვის? საკვლევის კორესპონდენტმა ასეთი კითხვით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის ვაჭრობისა და კომუნალური მეურნეობის ავტომატიზაციისა და მოწყობილობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს გ. ა. კალიაზინს.

— საბჭოთა ფულის ერთეულის გამსხვილება ფასების არსებული მასშტაბის შეცვლის გზით, — თქვა ამხ. კალიაზინმა, — კოლოსალურ შესაძლებლობას იძლევა სულ სხვადასხვა საქონლით ვაჭრობის ფართო ავტომატიზაციისათვის.

ათჯერ მეტი მყიდველობითი უნარის მქონე ახალი ფულის გამოშვებით, იმ საქონლის ასორტიმენტი, რომელიც შეიძლება შევაძინოთ ავტომატების სამეალებით, მნიშვნელოვნად ფართოვდება. ასეთ საქონელს ეკუთვნის ბეტერბროდი, ღვეზელი, სხვადასხვა სახეობის საუზმე, კონსერვი, ჩაი, ყავა, კაკაო, საგალანტერეო, საპარფიუმერიო, აფთიაქისა და ბევრი სხვა ნაწარმი. გამოუშვებენ ავტომატებს სასადილოებისათვის, სასაუზმეებისათვის, მაღაზიებისა და ქუჩაში ვაჭრობისათვის.

1961 წელს ქარხნები, რომლებიც ამზადებენ საკვეპრო მოწყობილობას, გამოუშვებენ ოცდაათი ტიპის რამდენიმე ათეულ ათას ავტომატს. შემდგომ წლებში გამოშვებული ავტომატების რიცხვი რამდენჯერმე გადიდდება. (საკვლევი).

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

18 მაისი